ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის„ გაზეთი
2021 წელი, 22 მარტი, №2 (6529)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 50 თეთრი

## ახალგაზრდული სტრატეგია – დარჩი ყვარელში

ძვირფასო ახალგაზრდებო, პრაქტიკულად განხორციელებულ პროექტთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ გვინდა თქვენთვის ინფორმაციის მოწოდება. მხედველობაში გვაქვს ის, რომ ხელმეორედ მოხდება დაფინანსება ახალგაზრდების, რათა მათ შეეწყოთ ხელი რაიონში დარჩენისა და გარკვეული ბიზნესსაქმიანობის წამოწყების. ამ დროისთვის უკვე რვა ბიზნესგეგმა დავაფინანსეთ და სასიხარულოა ის ფაქტი, რომ უახლოეს პერიოდში მუნიციპალიტეტი გამოაცხადებს კიდევ კონკურს ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობისთვის, სადაც დაახლოებით 160 ათასი ლარია გათვალისწინებული. ყვარლის ახალგაზრდობას მოვუწოდებ, კიდევ უფრო მეტად ჩაერთონ, კიდევ უფრო მეტად მოინდომონ, რათა მათ ჰქონდეთ პერსპექტივა ქვეყანაში დარჩენის და უშუალოდ მუნიციპალიტეტში, საკუთარ მამულში ბიზნესის განხორციელების.

**დავით ქევხიშვილი**

**ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე**

## ბედმა ბუმბერაზი ილიას ყვარლის მთებს შემახმატკბილა

*მოფრინდებიან მერხცლები და*
*ორლობეში იფეთქებს შინდი...*
*სოფლელი გოგო ისე შემოგხედავს,*
*როგორღა დარჩები მშვიდი...*
*გაზაფხულდება და,*
*ორლობეში იფეთქებს შინდი,*
*სოფლელი გოგო ისე შემოგხედავს,*
*კაი ბიჭი ხარ და, დარჩები მშვიდი.*

*ასე ესახებოდა გაზაფხული ჩვენთვის საყვარელ მეგობარს და პოეტს, რომელმაც ნაადრევად დატოვა ეს საწუთრო და იმქვეყნიურში გადასახლდა. სწორედ გაზაფხულის შემოსვლასთან ასოცირდება დედის და ქალთა დღეები, ქალთან, რომელთა ცხოვრებაც ხშირად ტვირთმძიმე და საპასუხისმგებლოა.*

*წელიწადის ყველა დრო თავისებურად ლამაზია, მაგრამ, ჩემი აზრით, გაზაფხულს არაფერი შეედრება; – ვინ იცის მერამდენედ იღვიძებს ბუნება, – ირგვლივ ია-ენძელების სურნელი ტრიალებს, სიცოცხლეს ხალისი ემატება, თითქოს ცხოვრებას თავიდან იწყებ.*

*ამ სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთისთვის ბლიც ინტერვიუ ჩავიწერეთ გაზაფხულივით ნაზ და სიცოცხლით სავსე, შპს აფთიაქ „სალბის“ პროვიზორთან, ქალბატონ თინა მისრიაშვილთან. იგი გარდა საპატივსაცემო პროფესიისა, შესანიშნავი კალმოსანიცაა, უყვარს პოეზია, აკეთებს ჩანახატებს, წერს მოთხრობებს, არის „ზედმეტად“ კეთილშობილი და თავისი ასეთი საქმიანობით დღევანდელი ეკონომიკის ფონზე დიდ „შეღავათს“ აძლევს გაჭირვებულ ადამიანებს, განსაკუთრებით კი პენსიონერებს. ქალბატონს თავის სამუშაო ადგილზე ვეწვიეთ, გაზაფხული, დედის და რვა მარტის დღე მივულოცეთ და ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე ვუსურვეთ.*

**– ქალბატონო თინა, როგორ შეაფასებ შენს პროფესიას?**

– მეცხრე კლასში ვიყავი, როცა ამ პროფესიით დავინტერესდი. 1970 წელს წარმატებით ჩავაბარე გამოცდები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე.

ორმოცდაექვსწლიანი გადმოსახედიდან დარწმუნებით ვამბობ, რომ სპეციალობის არჩევაში არ შევცდი. გარე თვალით თითქოს ვიწრო სპეციალობაა, მაგრამ თუ ღრმად ჩავიხედავთ... ყოველდღიურად სხვადასხვა დიაგნოზის მქონე ადამიანებთან მაქვს შეხება. კადნიერებაში ნუ ჩამითვლით, ვიტყვი, რომ ყველას ჩივილები გულწრფელად მიმაქვს გულთან და შესაბამისად ვირჯები. შეფასება კი მათთვის მიმინდვია.

1975 წლის 3 მარტს შევაღე პირველად ყვარლის რაიონული აფთიაქის კარი. სასიამოვნო დამთხვევაა: 3 მარტი ჩემთვის ორმაგად საიუბილეოა. სასიამოვნო დამთხვევაა ისიც, ბუნებაზე შეყვარებული ადამიანი ვარ, ალბათ იმიტომ, რომ დავიბადე ფშავის არაგვის ულამაზეს ხეობაში, გავიზარდე ცივგომბორის კალთებთან შეხებაში და ბედმა კი ბუმბერაზი ილიას ყვარლის მთებს შემახმატკბილა. ბუნების სილამაზის მუდმივმა აღქმამ გარკვეულ მონაკვეთში კალამი ამაღებინა, აზრები ფურცლებს გავანდე: „მსურდა სიმართლე მეთქვა“...

ისიც დამთხვევაა, რომ აპრილში დავიბადე; გაზაფხულის იმ მონაკვეთში, როცა ბუნება გაღვიძებას იწყებს, ზამთრის საბანს იშორებს ბუჩქის ძირას ენძელა და ია. ნიშანდობლივია ისიც, რომ ახალი სიცოცხლის საწყისის – მანდილოსნების დღესასწაულიც გაზაფხულზეა.

**გაგრძელება მე-2 გვ.-ზე**



## მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები წარმატებით დასრულდა

სოფლის მოსახლეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები დასრულდა, სადაც გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრიორიტეტები:

1. ამბულატორიული შენობების კეთილმოწყობა
2. სპორტული ინფრასტრუქტურის მონესრიგება
3. სასმელი წყლის სათავე – ნაგებობების და არსებული სკვერების რეაბილიტაცია
4. გარე განათებების მონესრიგება
5. სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია

## ყურძნის მოსავლის კონტროლი მკაცრდება

სოფლის განვითარებისა და ღვინის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით ქ. ყვარელში, საკრებულოს სხდომათა დარბაზში მოეწყო შეხვედრა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, მევენახე ფერმერებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ კახეთის რეგიონის გუბერნიის ადგილობრივ თვითმმართველობასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ბენო გეგეჭკორი, ღვინის ეროვნული სააგენტოს კადასტრის სამსახურის უფროსი დავით მაღრაძე, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი, კახეთის რეგიონის და ყვარლის საინფორმაციო სამსახურების თანამშრომლები. შეხვედრაზე განიხილეს რთველი 2021 საორგანიზაციო საკითხები რეგულაციებისა და მიმდინარე სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამების შესახებ, ხოლო თებერვლისა და მარტის თვეში შეხვედრები მოხდა მოსახლეობასთან ინფორმაციის გასაცნობად.

ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რთველი 2021-ის ფარგლებში ყურძნის ხარისხის კონტროლი გამკაცრდება.

ჩასაბარებელი ყურძნის ხარისხს მისი შაქრიანობა განსაზღვრავს, რომელიც შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტაციებითაა დადგენილი. ყურძნის ხარისხი მის შემდგომ საბაზრო ღირებულებაზე აისახება.

ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესება მუდმივი პროცესია და სნორედ ვენახის მოვლასა და ყურძნის კონდიციაზეა დამოკიდებული ქართული ღვინის ხარისხი, მისი საერთაშორისო რეპუტაცია და, შესაბამისად, საექსპორტო ფასი. გარდა ამისა, კონტროლი განხორციელდება ადგილწარმოშობის ჯიშების სპეციფიკაციებით განსაზღვრულ მოსავლიანობის ლიმიტზე.

მიმდინარე წელს ასევე იგეგმება ვენახების კადასტრის პროგრამის დასრულება კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში, რაც მნიშვნელოვანია მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების და ხარისხიანი ღვინის წარმოების ხელშეწყობისთვის.

### რეგლამენტირებული მოსავლის მიღების რეკომენდაციები მევენახეებისთვის

ცნობილია ვენახიდან მაღალი მოსავლის მიღების ისეთი შემთხვევები, როდესაც წარმოებული ყურძნის მოსავალი აღემატება დადგენილ რეგლამენტებს და იწვევს მთელ რიგ უარყოფით შედეგებს. კერძოდ, ასეთი ყურძნისგან წარმოებული ღვინო ხასიათდება ხარისხობრივი, სენსორული და სხვა ორგანოლეპტიკური მახასიათებლების (გემო, ფერი, ვიზუალი, არომატი და ა.შ.) დაქვეითებული მაჩვენებლებით, რაც უარყოფითად მოქმედებს ღვინის ხარისხზე და საფრთხეს უქმნის ქართული ღვინის რეპუტაციას.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მევენახემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სწორი აგრონომიული პრაქტიკის გამოყენებას და იზრუნოს მოყვანილი ყურძნის ხარისხზე. ამ მიზნით განსაკუთრებული აქცენტი უნდა გამახვილდეს შემდეგ ფაქტორებზე:

1. გასხვლის და მწვანე ოპერაციების დროს მევენახემ უნადა გაითვალისწინოს ვაზის სათანადო დატვირთვა ჭარბი მოსავლის თავიდან აცილების მიზნით მევენახეობის ყველა ზონაში და განსაკუთრებით ადგილწარმოშობის დასახელებების მიკროზონებში საქართველოს ვაზისა და ღვინის კანონის რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად.

**გაგრძელება მე-2 გვ.-ზე**

## ყვარლის მუნიციპალიტეტში მედიკოსთა ვაქცინაცია დაიწყო

**დაიწყო COVID-19-ის პანდემიასთან ბრძოლის მნიშვნელოვანი ეტაპი. ყვარლის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში მიღებულია COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის (ასტრა ზენეკა) 300 დოზა.**

**ვაქცინაცია მოხდება ყვარლის „ევექსის „კლინიკაში. პირველ ეტაპზე აიცრებიან ყვარლის მუნიციპალიტეტის სამედიცინო პერსონალი, როგორც მაღალი რისკის მქონე ჯგუფები.**

**ვაქცინა რეკომენდირებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ.**

**ყვარლის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი მერაბ სეფაშვილი**

# იმედია, ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელები ჩვენს თხოვნას გაითვალისწინებენ

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მერიამ ახალგაზრდების კულტურული დასვენებისა და გართობისათვის, მუნიციპალიტეტში დასაქმებისათვის მნიშვნელოვანი პროგრამები შეიმუშავეს და ძალისხმევას არ იშურებენ მათი განხორციელებისათვის.

ერთ-ერთი მაგალითია ქ. ყვარლის ცენტრალურ ნაწილში მდებარე დასასვენებელი პარკის ტერიტორიაზე (ყოფილი კიროვის პარკი), მოწყობილი მცირე ასაკოვანი ბავშვების ატრაქციონები და მოზრდილების სავარჯიშო ტრენაჟორები. გულსატკენია, რომ აღნიშნული სპორტული სულისკვეთება მთლიანად ვერ გამომჟღავნდა ქ. ყვარლის შემოსასვლელში მდებარე პარკის (სასწრაფო დახმარების სამსახურთან) სპორტული მოწყობილობების დაკომპლექტებაში. კარგი იქნებოდა, რომ დაკომპლექტებაში შესულიყო მკლავჭიდის მაგიდა, ბაგირი და მისაზიდი ძელი.

იმედია, ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელები ჩვენს თხოვნას გაითვალისწინებენ.

**პარკში დაკავებული ახალგაზრდების სახელით:**
**დ. შიოშვილი, დ. სეფაშვილი, ლ. ჯუჯუშვილი, ნ. ბეჟანიშვილი, ვ. ბეჟანიშვილი, ლ. ქოჩორაშვილი, ლ. ვახტანგაძე. სულ 32 კაცი**

# ნიკა, მადლობა!

**ადამიანი, რომელმაც მეტოქეებზე, საკუთარ თავსა და ლაფის მსროლელებზე გაიმარჯვა**

ნიკოლოზ ბასილაშვილი დოჰას ტურნირის ჩემპიონია. ქართველმა დოჰას ტურნირის ფინალში ესპანელ რობერტო ბაუტისტა აგუტს შანსი არ დაუტოვა და ორ სეტში, 7:6, 6:2 სძლია.

გზად კი იყო ისტორიული გამარჯვება. მატჩი, რომელიც ქართული სპორტის ისტორიაში ოქროს ასოებით შევა და არასდროს არავის არ დაავიწყდება.

სახუმარო და ადვილი საქმე ხომ არაა სძლიო როჯერ ფედერერს, რომელიც ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენებში წამყვან ადგილს იკავებს.

ბასილაშვილის დაბრუნება ყველას ძალიან გვიხარია. ურთულესი 2020 წლის შემდეგ ნიკა 2021 წელსაც მძიმედ იწყებს, თუმცა საკუთარ თავში ძალებს პოულობს და საქართველოს კიდევ ერთხელ ასახელებს.

შეუძლებელია გვერდი აუარო და არ ახსენო ის ნეგატიური ფონი, რომელიც ჩოგბურთელს თავად ქართველებმა შეუქმნეს.

იმ მომენტში, როდესაც სასამართლოს მის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება არ აქვს გამოტანილი და ნიკას ბრალდება დამტკიცებული არაა, რბილად რომ ვთქვათ, მის მიმართ ასეთი ბინძური კამპანიის აგორება უბრალოდ სირცხვილია.

არასამთავრობო ორგანიზაციები ფედერერთან გამარჯვების შემდეგ ბასილაშვილის ტურნირიდან მოხსნას მოითხოვდნენ. შემდეგ ეს ინფორმაცია უფლებადამცველმა ბაია პატარაიამ უარყო, თუმცა სპორტსმენის ადვოკატი ირმა ჭკადუა ამტკიცებს, რომ მსგავსი მოთხოვნა დოჰას ტურნირის ორგანიზატორებმა მართლაც მიიღეს.

იმ დროს, როდესაც ქართველი ერი უნდა ხარობდეს ისტორიულ გამარჯვებას, ჩვენი ქვეყნის სახელის გათქმას საერთაშორისო დონეზე, ქვეყანაში ასეთი წარმატების მომტან ადამიანს ლაფს ესვრიან, რაც ძალიან ბინძური საქციელია.

ძალადობას არავინ ამართლებს, ჩვენც ვგმობთ ყოველგვარ ძალადობას, თუმცა კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ჯერჯერობით არანაირი მტკიცება არ არსებობს იმისა, რომ ნიკა მოძალადეა და სასამართლოსაც ეს ვერდიქტი არ გამოუტანია.

რაც შეეხება სპორტულ მხარეს. ბასილაშვილის თამაშების ყურება დოჰაში უბრალოდ სასიხარულო იყო. იჯექი ტელევიზორთან და იღებდი სიამოვნებას ძალიან მაღალი კლასის ჩოგბურთელის ულამაზესი თამაშით და გეამაყებოდა, რომ ის ქართველია.

ნიკას თავის „საფირმო“ ფორჰენდი ყველა შეხვედრაში მისდიოდა. ის მეტოქეს მუდმივად ზეწოლის ქვეშ ამყოფებდა, ანერვიულებდა და უბრალოდ შანსს არ უტოვებდა.

ფედერერთან გეიმის მოგებაც კი ბევრი ჩოგბურთელისთვის საოცნებო ამბავია. ბევრი იტყვის, რომ როჯერს დიდი ხანია არ უთამაშია, ის ასაკშია და მარცხიც ამის ბრალი იყო, თუმცა როდესაც კორტზე შენს წინააღმდეგ მსოფლიო სპორტის გენიოსი დგას და შენ ახერხებ იმდენს, რომ მას თამაში შემოუტრიალო, ეს უკვე იმაზე მეტყველებს, რომ თავადაც დიდი სპორტსმენი და ჩოგბურთში მნიშვნელოვანი პერსონა ხარ.

ბასილაშვილისთვის საქებარი სიტყვები დიდ ჩოგბურთელებს არაერთხელ უთქვამთ. მას ძალიან უხერხული და ძლიერი მეტოქე თვით ნოვაკ ჯოკოვიჩმა და რაფაელ ნადალმაც კი უწოდეს: ნიკოლოზი არის ადამიანი, რომელმაც თავისი დაუღალავი შრომით, თავისი ფინანსური რესურსებითა და მონდომებით მიაღწია იმ დიდ შედეგს, რომელიც მან უკვე დააფიქსირა.

ძნელია, იპოვნო შენს თავში ძალა, ძნელია იყო შენს თავზე ძლიერი, როდესაც შვილის ნახვის უფლებაც არ გაქვს... ამ დროს სპორტი და ჩოგბურთი შენთვის თითქოს მეორეხარისოვანი ხდება, თუმცა ნიკა პროფესიონალია და მან თავის თავს უთხრა, რომ შეუძლია, მას შეუძლია იყოს ისეთივე ძლიერი, როგორიც ამ საშინელ მომენტებამდე იყო.

დაჯილდოვებისას ბასილაშვილმა შვილს მიმართა და უთხრა, რომ ლუკასი ამ სამყაროში მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანია და ძალიან ენატრება. იმედი ვიქონიოთ, რომ მას მალე შვილის ნახვის საშუალება მიეცემა. მან ერთ-ერთ ინტერვიუში თავად განაცხადა, რომ ოცნება აქვს, ტურნირებზე ლუკასთან ერთად იმოგზაუროს.

ნიკოლოზმა კარიერაში მეოთხე ტიტული მოიგო. მას აქამდე ორჯერ ჰამბურგში და ერთხელაც ბეიჯინგში ჰქონდა ჩემპიონობა მოპოვებული.

ახლა ბასილაშვილმა რეიტინგშიც წაიწია 5 საფეხურით წინ და 37-ე პოზიციას იკავებს, მისი საბანკო ანგარიში კი 69 520 დოლარით შეივსო.

ნიკოლოზმა დუბაიში გადაინაცვლა, სადაც 500-იანი საკმაოდ პრესტიჟული ტურნირი დაიწყო. მისი მეტოქე 1/16-ფინალში აშშ-ის წარმომადგენელი ტეილორ ფრიცი იქნება, რომელსაც ბასილაშვილმა დოჰას ტურნირზე უკვე სძლია.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ნიკოლოზს წარმატებები ვუსურვოთ. ნიკა მადლობა, მადლობა, რომ ნამდვილ ქართველ გულშემატკივარს კიდევ ერთხელ სიამაყით აუვსე გული და ამ მძიმე პერიოდის დროს ჩვენს ქვეყანას ძალიან დიდი სიხარული მიანიჭე.

sportall.ge

# ბედმა ბუმბერაზი ილიას ყვარლის მთებს შემახმატკბილა

**დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე**



**– შენი დილის რიჟრაჟი.**

– ასე მგონია ბუნებასთან ვარ შესისხლხორცებული. ყოველი მომდევნო დღის დილის მზის სხივს ვასწრებ და მიწასთან შეხებით ვასაზრდოებ ყოფითი ცხოვრებით დანაღმულ სულს, ისევ ჩემი ლექსიდან:...უნდა ავასწროთ დილის სხივს, ალიონს შევხვდეთ ზვარში“...

ახლა უკვე სამოცდამეათე გაზაფხულია და ისევ ჩემი ლექსიდან: „ნაკვალევს მივდევ ორღობეში გარდასულ დღეთა“...

**– კომპლიმენტი, რომელიც გახარებს.**

– თითქოს გვეჩვენება, რომ ყოველი დღე ერთნაირია. თუ ღრმად ჩავიხედავთ, დავინახავთ შემხებლობაში მყოფ ადამიანებთან აზრთა გაცვლა-გამოცვლა საინტერესოა, ეს ცხოვრებას აადვილებს, სახალისოს ხდის. ყოველ მათგანს, რომ იტყვიან, მისი გასაღები უნდა მოუნახო; გაითავისო მისი სიხარული და ტკივილიც, რის გარეშე სიცოცხლე „არ ეგების“. არც კომპლიმენტები არ უნდა დავიშუროთ, თუმცა, სიმართლე რომ გითხრათ, ზოგჯერ მაეჭვებს, მავანის კომპლიმენტი შეფარული არ იყოს, რაც ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია.

**– გჯერა უფლის სასწაულების?**

– ამ ხანგრძლივ თუ ზოგჯერ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე უნდა გვწამდეს უფლის სასწაულების. „რასაცა გასცემ შენიაო“... „სიკეთე ქვაზე დადეო“... ჩვენ, მოკვდავნი ამ პრინციპით თუ ვიცხოვრებთ, სულიერად გაძლიერებულები შევხვდებით ყოველგვარ განსაცდელს. ისე კი, ადამიანები იმედით ვცოცხლობთ.

**– ხშირადმოხმარებადი წამალი, რომელიც სიძვირის გამო ხალხისთვის ხელმისაწვდომი არ არის.**

– არ მინდა იმედი მოეშალოთ მათ, რომელნიც ჯანმრთელობას უჩივიან და წამალზე ხელი ძნელად მიუწვდებათ. სამწუხაროდ, ჩვენს შორის ასეთები ბევრნი არიან. თუ არა მე, სხვა ვინ შეამჩნევს, რა დიდი ფასთა სხვაობებია სხვადასხვა ქვეყნისა თუ კომპანიების მიერ წარმოებულ ერთი და იგივე ქიმიური შემადგენლობის მედიკამენტებზე (მათ შორის საქართველოშიც): ნათქვამია „ჭამა-სმა ქონებაზე კიდიაო“, ამიტომ ჩემს აფთიაქთან შემხებლობაში მყოფ პაციენტებთან კანონით გათვალისწინებული, სავსებით გარკვეული ურთიერთობა მაქვს. მათ სჯერათ ჩემი და ეს სასიამოვნოა.

**– ბევრი ფული...**

– გზა სწორხაზოვანი არასოდეს არ არის. დაბრკოლებების გადალახვას გონიერება ჭირდება. ვინც გულს გონებაზე წინ აყენებს, შეცდომები სხვას არ დააბრალოს. ზოგჯერ ამბობენ: – ფულით ყველაფერს იყიდიო,... მაგრამ, ყველაზე მთავარს ადამიანობას და სიცოცხლეს ვერ იყიდი. ეს ორი მცნება ჩემში ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ადამიანობით სიცოცხლის გახანგრძლივება შეიძლება, ფული (ანუ ქონება) კი ზოგჯერ ბოროტების სათავეა. მას შეუძლია ჭკუაუხმარ ადამიანს ბევრი ცოდვა ჩაადენინოს: „და თვით მეფენიც უძლეველნი“... მიწა განურჩევლად იტევს ყველას.

**– ტკბილი სიტყვა, რომელიც...**

– ძალიან მიყვარს გამონათქვამი: „გველს ხვრელიდან ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი“. ცხოვრება განსაცდელის გარეშე არ არის. წუწუნი რა საკადრისია. უფალი გვეუბნება: მოიქეცი ისე, როგორც შენ გინდა რომ მოგექცნენ.

**– ტკივილი, რომელსაც განიცდი ხოლმე.**

– მადლობა ჩვენს დამბადებელს, უფალთან ახლოს ყოფნა ჩვენივე კეთილდღეობისთვისაა აუცილებელი. სახარების ათი მცნებიდან გადახვევა არავის ეპატიება. დღეს აღზევება, სასოწარკვეთას ვერ აგვაცილებს, სხვადასხვა ფორმით. უცოდველი კი არავინაა. უნდა შეგვეძლოს მიტევება. მე პირადად წყენას შეიძლება ვერ ვივიწყებ, მაგრამ ვიცი ის წარსულია და იქ უნდა დავტოვო, რათა ცხოვრება გავაგრძელო. საკუთარ თავზე ამაღლება, პიროვნებად ჩამოყალიბებაში ძალიან გვეხმარება.

**– განა ყველა ქალი ქალია?..**

– ქალის მოვალეობა არც ისე მარტივია. ქალი – დედა, დედაბოძი, დედამიწა, დედაკაცი, დედა სამშობლო. ცალ-ცალკე არ გავშიფრავ, ყველა და ყველაფერი ქალის გარშემო ტრიალებს. ქალად დაბადებული თუ ვერ შეძლებს ამ ყველაფრისადმი სწორად მიდგომას, ის რა ქალია. ყველაზე ამაღლებული გრძნობა დედობაა, რომელიც ჩვენ მოგავნიჭა უფალმა. ხოდა ჩემო ძვირფასო ქალებო – დედებო, ვუერთგულოთ ამ გამორჩეულ საჩუქარს „ისე აღზარდე შენ შვილი შენი“... რომ ჩვენს დედა სამშობლოში იყოს სიმშვიდე.

ვიბადებით იმისათვის, რომ ვიცოცხლოთ, ვიშრომოთ და გარშემომყოფთაც გავულამაზოთ ცხოვრება.

მრავალი მარტი მშვიდობით გაგთენებოდეთ ჩვენო მანდილოსნებო. სადღესასწაულოდ დაწერილი ლექსი კი ერთგვარი საჩუქარი იქნება თქვენთვის, ჩემო კარგო დედებო!

**იები მივაგებოთ დედებს**

თვალს ავახელთ და თბილ ღიმილს
შეგვაგებებს ვინ და... დედა,
პირველ აღუს ვინ გვასწავლის,
ვინ დაგვხარის, ვინ და... დედა.
ფეხსაც დედა გვადგმევინებს,
ჩვენთან ერთად ფორთხავს დედაც:
თუ ვიტკინეთ, მასაც სტკივა,
გულზე ხვდება ყველა ელდა.
როცა გვიჭირს , დედა არის
ჩვენი ხელი, თვალი, ენა
და ცხოვრების ვიწრო გზაზე,
გვეაჯება ჭირთა თმენას.
კიდევ? – ჩვენი მეგზურია,
მოგვატარებს მთას და მდელოს,
გვაჩვევს მტერს და მოყვარესა,
გავიტანოთ რადგან ლელო.
მაგიერში? – არა უნდა,
მხოლოდ ჩვენზე ლოცვით დნება;
ხოდა, მინდა საზღაურად,
უფალს ვთხოვო მომცეს ნება,
გავიხსენო წასულები,
ვინც მომავალს ნათელს ფენდა,
აქ იები მივაგებოთ,
ვადღეგრძელოთ ქალი – დედა.

**ესაუბრა**
**დალი ტატულიშვილი**

**ცისმარი ლომიძეს დაბადებიდან 70-ე წლისთავის აღსანიშნავად**

**განათდება! მთვარემ თავი ამოყო,**
**მარჯნისფერი სახლი დავდგათ სამოყვრო,**
**თორემ გრძნობა გაფერმკრთალდა, გათეთრდა,**
**უმეგობროდ მე ამქვეყნად რა მინდა!**

**ზამთარია, გავუმკლავდეთ სიცივეს,**
**რა ვუყოთ, რომ ზოგჯერ ცრემლიც იწვიმებს,**
**ვარდობისთვე შემოაფრქვევს სურნელებს,**
**უკვდავების სჯერათ მხოლოდ სულელებს.**

**ზურგს ნუ ვაქცევთ წუთისოფლის სიამეს**
**შევებრძოლოთ სიბერეს და სიავეს,**
**თორემ წლებმა წამში ჩაიშრიალა,**
**ხვალ იქნება ყველაფერი გვიანა.**

**ნუ ვინაღვლებთ თუ ზაფხული გავიდა,**
**შუადღის მზემ გაგიხარა, გადვიდა,**
**მომხიბვლელი წლები გაქრა, წავიდა,**
**არ იწყება სიჭაბუკე თავიდან.**

**გულთა მპყრობმა სამოსახლო გამოყო,**
**მარჯნისფერი სახლი დავდგათ სამოყვრო,**
**თორემ გრძნობა სიცივისგან გაფითრდა,**
**უმეგობროდ მე ამ ქვეყნად არ მინდა!..**

**კეთილი სურვილებითა და სიყვარულით**
**ზეინაბ ჭიჭიკოშვილი**

# ყურძნის მოსავლის კონტროლი მკაცრდება

**დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე**

2. განოყიერების სქემის, აგროქიმიკატების, მინერალური სასუქების და მათ შორის უპირატესად აზოტოვანი სასუქების ოპტიმალური გამოყენება – მევენახეობის აგრონესების შესაბამისად.

3. ირიგაციის შესაბამისი წესების და მიდგომების გამოყენება – კრეფამდე რამდენიმე კვირით ადრე უნდა შეწყდეს ვენახის მორწყვა.

4. მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებების გამოყენება შესაბამისი ჯერადობით და საჰექტარო დოზების მოთხოვნების დაცვით არსებული რეგლამენტების შესაბამისად.

5. სარეველების კონტროლის აგროღონისძიებების სათანადო დაგეგმვა და განხორციელება.

6. კრეფის ვადის ზუსტი დადგენა და ოპტიმალურ ვადებში ჩატარება იმ თვალსაზრისით, რომ ყურძენში ხსნადი მშრალი ნივთიერება (Brix) – საერთო შაქარი – უნდა იყოს არანაკლებ 18 %-ისა, ხოლო გეოგრაფიული აღნიშვნის მიკროზონებში – არანაკლებ რეგლამენტის შესაბამისი მაჩვენებლებისა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თუ ყურძნის საჰექტარო მოსავლის რაოდენობა გადააჭარბებს რეგლამენტით დადგენილ მახასიათებლებს, ან ყურძენი იქნება დადგენილ მაჩვენებლებზე ნაკლები შაქრიანობის მქონე, ასეთი მოსავლის ჩაბარება – რეალიზაცია მარნებში აღარ განხორციელდება.

ვენახების კადასტრი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ ოპერირებადი საქართველოს ვენახების კადასტრი წარმოადგენს ვენახებისა და მევენახეთა აღრიცხვის თანამედროვე საშუალებას, რომლის მეშვეობითაც სააგენტო მოწოდებულია მართოს და აკონტროლოს საქართველოში წარმოებული ყურძნისა და ღვინის რაოდენობა და ხარისხი ვენახიდან მომხმარებლამდე. ამ სისტემის მოთხოვნების შესაბამისად მევენახე ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია, რათა გაითვალისწინოს შემდეგი:

- ვენახის ამონაწერის გარეშე ვერ შეძლებს ადგილწარმოშობის დასახელებას – ე.წ. „მიკროზონის“ – ყურძნის ჩაბარებას რთველის მიმდინარეობის პერიოდში.
- ვერ ჩაერთვება სახელმწიფო დაფინანსების პროგრამებში (მაგალითად, ვენახების დაზღვევაში) – 2022 წლიდან.

**მოამზადა**
**ალექსანდრე გიგილოშვილმა**

# ხეხილოვანი კულტურების გაზაფხულის საგვიანო წაყინვები

ხეხილოვანი კულტურების გაზაფხულის საგვიანო წაყინვები, პრევენციისა და დაზიანების შემდგომი ღონისძიებები.

სამწუხაროდ, საქართველოში არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე, რომ გაზაფხულის ხანმოკლე დათბობას (რაც ვეგეტაციის ინტენსიურ დაწყებას იწვევს), მოჰყვება წაყინვები.

საგაზაფხულო საგვიანო წაყინვები ხილის მიმდინარე მოსავალს მნიშვნელოვან ზიანს აყენებს, გარდა ამისა, წაყინვების ინტენსივობა და სიხშირე განმსაზღვრელი მალიმიტირებელი ფაქტორია ზოგიერთი ხეხილოვანი კულტურის (გარგარი, ნუში, ბროწეული და სხვ.)

ფართო სამეურნეო გავრცელებისათვის კონკრეტულ რეგიონებში. გაზაფხულის საგვიანო წაყინვები ზოგჯერ აპრილის მიწურულსა და მაისის დამდეგსაც კი ხდება, როდესაც ხეხილოვანი კულტურის უმეტესობა ან ყვავილობის, ან ნასკვის, ან პირველი ყლორტების ზრდის ფაზაშია.

ასეთ დროს წაყინვამ, შესაძლოა, ხილის მოსავლის 80-100% განადგურებაც კი გამოიწვიოს, გამომდინარე აქედან, ფერმერებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ ფაქტორს.

- **წაყინვის პროგნოზირება**

წაყინვის პროგნოზირება ხდება ადგილობრივი მეტეოროლოგიური სამსახურების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ან აგრომეტეოსადგურების გაფრთხილების სისტემის გამოყენებით.

საქართველოში ხელმისაწვდომია გარემოს ეროვნული სააგენტოს მეტეოსამსახურის სპეციალური ვებგვერდი სასოფლო – სამეურნეო წაყინვების გაფრთხილების სისტემა – http://212.175.180.197/GeorgiaFrost/, სადაც შესაძლებელია აღნიშნულ საკითხზე სავარაუდო პროგნოზის მიღება.

გარდა ამისა, თუ აღნიშნული სერვისების მიღება რაიმე მიზეზით შეუძლებელია, ფერმერებმა შესაძლებელია ისარგებლონ შემდეგი არაპირდაპირი ინდიკატორებით: თუ საღამოს 9 საათისთვის ჰაერის ტემპერატურა იკლებს +4ºC-მდე, შემდეგ დილას წაყინვის რისკის ალბათობა ძალიან მაღალია.

მოსალოდნელი წაყინვის მაჩვენებელია ასევე ცივი, ქარიანი დღის შემდეგ, საღამოს ქარის ჩადგომა და ცის მოწმენდა. ზოგადად, წაყინვა იწყება ღამის 4 საათზე და გრძელდება დილის 9-10 საათამდე.

ხეხილოვან კულტურებს საგაზაფხულო განვითარების სხვადასხვა ფაზაში მნიშვნელოვნად აზიანებს უკვე – 2-30ჩ ყინვა, ქვემოთ მოცემულია საორიენტაციო ინფორმაცია წაყინვით გამოწვეული დაზიანებების ალბათობის შესახებ ზოგიერთ ხეხილოვან კულტურაში.

- **წაყინვისგან თავის დაცვა**

აღნიშნული მიზნით გამოიყენება აქტიური დაცვის საშუალებების ფართო სპექტრი ეფექტიანობის სხვადასხვა ხარისხით.

- **კვამლის საფარის შექმნა**

ნიადაგიდან სითბოს არეკვლის შეჩერების მიზნით ქმნიან კვამლის საფარს, რისთვისაც მცირე ბაღებში წვავენ სხვადასხვა ორგანულ ნივთიერებას – ნამჯას, თივას, ნახერხს, თივიან ნაკელს.

ამისთვის დაახლოებით 1-1.2 მეტრი დიამეტრის 0.5-0,8 მეტრის სიმაღლის დასაბოლებელ ზვინებს წინასწარ ამზადებენ. ჰექტარზე აუცილებელია ასეთი 100-150 დასაბოლებელი ნერტილის შექმნა.

დასაბოლებელი ზვინის ქვემოთ დებენ ადვილად აალებად მასალებს – ბურბუშელას, ქაღალდს. ზვინს ზემოდან ფარავენ მიწის თხელი ფენით, რათა ზვინი სწრაფად არ დაიწვას. ასეთი ტიპის დაბოლება საკმაოდ შრომატევადია და ზოგჯერ ნაკლებად ეფექტიანიც.

სამრეწველო ბაღებში იყენებენ სპეციალურ დამცავ დასაბოლებლებს, რომლებიც ქმნიან კვამლის ფარდას. დაახლოებით 10-20 დასაბოლებელი საკმარისია 1 ჰა ბაღის დასაცავად.

კვამლის საფარის შექმნა უნდა დაიწყოს ერთიორი საათით ადრე, მოსალოდნელ წაყინვამდე, და გაგრძელდეს მზის ამოსვლის შემდეგაც 1-1.5 საათის განმავლობაში, რადგან ხეების პირდაპირმა განათებამ შეიძლება გამოიწვიოს მცენარის ქსოვილების სწრაფი გალღობა, რაც ასევე დამღუპველია მოსავლისათვის.

- **მორწყვა**

ბაღის მორწყვამ მიშვებით ან კვლებში, შესაძლოა, შეამციროს წაყინვით გამოწვეული ზიანი, მორწყვა საჭიროა წაყინვის დადგომამდე და დამთავრდეს 4-6 საათით ადრე, რათა წყალი მთლიანად ჩაიჟონოს მიწაში. არასასურველია წყლის მთლიანი გაყინვა ბაღის ნიადაგის ზედაპირზე.

- **წყლის შესხურება**

ამჟამად პრაქტიკაში ფართოდ მიღებულია წაყინვის წინ წყლის შესხურება ხის ზემოთ განლაგებული სპრინკლერებით ან სხვა სახის შემასხურებლებით. მაღალი თბოშემცველობის გამო წყალი აჩერებს ტემპერატურის დაცემას 1-1.5ºC-ით.

ყვავილებსა და ნასკვებზე წარმოქმნილი ყინულის თხელი ფენის შიგნით ტემპერატურა არ ეცემა –2-3ºC – ის ქვემოთ, რაც კარგად იცავს მოსავალს დაზიანებისგან.

ევროპის სამრეწველო ბაღებში, იქ, სადაც წაყინვის საშიშროება ხშირია, ბაღში ამონტაჟებენ სპეციალურ წყლის მილს სპრინკლერ – შემასხურებლებისთვის. დაწვიმება იწყება +2-3ºC-ზე და წყდება, როცა ტემპერატურა ისევ დადებით ნიშნულს მიაღწევს.

- **ლოკალური თბოლუმელების გამოყენება**

მცირე ფართობებზე ამ მიზნით შეაქვთ სპეციალური თბოლუმელები, საც საწვავად გამოიყენება ნახშირი, ბუნებრივი აირი, ხის საწვავი ბრიკეტები და სხვ.

1 ჰა-ზე ამონტაჟებენ 80-100 ასეთ ღუმელს. გათბობა იწყება +0.5ºC ტემპერატურაზე. ეს მეთოდი საკმაოდ რთულია და მას მიმართავენ მხოლოდ ზუსტი აგრომეტეოროლოგიური პროგნოზის საფუძველზე და მცირე ფართობებზე 0,2-1.0 ჰა ბაღებში.

- **ბაღის გამათბობელი ღუმელი**

წარმოადგენს სტაციონარულ გადასაადგილებელ ბაღის ღუმელს, რომლის მბრუნავ მილში თბილ ჰაერს წარმოქმნის შეკუმშული ბუნებრივი აირის წვა. როსტუარდ – ის ტიპის 1 აგრეგატი, საშუალოდ, იცავს 0,5-1,0 ჰა ხეხილის ბაღს წაყინვისგან.

- **ტრაქტორზე აგრეგატირებული გამათბობელი**

უკანასკნელ პერიოდში არის რამდენიმე მცდელობა, შეიქმნას ტრაქტორზე აგრეგატირებული გამათბობელი (როსტბუსტერ). წაყინვის პერიოდში ტრაქტორი მოძრაობს ბაღში გაუჩერებლად, 4-5 საათის განმავლობაში. 4-5 რიგის გამოტოვებით. გამოიყენება 3-8 ჰა ბაღის დასაცავად.

- **ქარის მანქანები**

თანამედროვე ინტენსიური ტიპის ბაღებში მიღებულია სპეციალური ქარის მანქანების დამონტაჟება, რომელთა სიმაღლე 10-12 მეტრია, ქარის მანქანები უზრუნველყოფენ 200 მეტრის რადიუსზე ტემპერატურის 2-2.5ºC – ით აწევას. სიმაღლისა და სიმძლავრის მიხედვით 1 აგრეგატი, საშუალოდ, იცავს 5-12 ჰა ფართობს. ამ მეთოდის უარყოფითი მხარეა სიძვირე და დაფარვის ზონის არათანაბრობა.

- **სეტყვის საწინააღმდეგო ბადეები**

სეტყვის საწინააღმდეგო ბადეებით გადაფარებულ ბაღებში წაყინვისას ტემპერატურა 0,5-1,3 გრადუსით მეტია, ვიდრე თავისუფალ სივრცეში, ამიტომ აღნიშნული მეთოდი – 3-4ºC ტემპერატურაზე კარგად იცავს მოსავალს დაზიანებისგან, თუმცა უფრო დაბალი ტემპერატურებისას აღნიშნული დაცვა საკმარისი არ არის.

- **აქტიური დაცვის სხვა მეთოდები**

ყოველწლიურად მსოფლიოს აგრობაზარზე გამოდის წაყინვისგან დაცვის ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებების ფართო სპექტრი (ბიოდეგრადირებადი ქაფები, ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, ამინომჟავები, ანტიფრიზები და სხვ.), თუმცა სამეცნიერო კვლევებით მათი ეფექტიანობა ბოლომდე დადგენილი არ არის.

- **წაყინვით გამოწვეული დაზიანების შეფასება**

წაყინვით გამოწვეული დაზიანების შეფასება თესლოვან კულტურებზე (ვაშლი, მსხალი, კომში) ხდება ყვავილის ბუტკოს, ნასკვის ან ახალგაზრდა ნაყოფის განივი განაჭრის დათვალიერებით. თუ განაჭერი გაყავისფრებული ან ფერშეცვლილია, ნაყოფი დაზიანებულია, თუ დაზიანება უმნიშვნელოა, თესლოვან კულტურებში შესაძლებელია ნაყოფის შენარჩუნება. თუმცა დათვალიერების დროს ვიზუალურად მწვანე ნასკვებიც განვითარების შემდეგ ფაზაში, შესაძლოა, დაცვივდეს.

გასათვალისწინებელია, რომ წაყინვის რეალური ზარალის შეფასება უმჯობესია წაყინვიდან არაუადრეს 2-3 დღის შემდეგ. საბოლოო ზარალის შეფასება შესაძლებელი იქნება წაყინვიდან მხოლოდ 10-12 დღის შემდეგ.

წაყინვით დაზიანების შეფასება ზოგიერთ კურკოვან კულტურაზე (ბალი, ალუბალი, ქლიავი, ტყემალი) ხდება ყვავილებზე, ნასკვებზე და ნაყოფების ვიზუალური დაკვირვებით – აღნიშნული ნაწილები გამოკვეთილად გამუქებული და გაშავებულია.

ატმისა და ნუშის დაზიანების შეფასება ხდება ყვავილის ბუტკოს, ნასკვის ან ნაყოფის განივი გადანაჭრის დათვალიერებით. თუ აღნიშნული ადგილები გაყვითლებული ან გამუქებულია, ნაყოფი დაზიანებულია.

გასათვალისწინებელია, რომ წაყინვის ინტენსივობა იცვლება ნიადაგიდან დაშორების მიხედვით, ნიადაგთან ახლოს 1,5-2,0 მეტრამდე ტემპერატურა შესაძლებელია 0,8-1,3 გრადუსით ნაკლები იყოს, ამის გამო წაყინვის შეფასებისას აუცილებელია ხეზე ვერტიკალური ზონების გამოყოფა და დაზიანების შეფასება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით.

### დაზიანების შემდგომ გასატარებელი ღონისძიებები

- **სხვლა-ფორმირება**

დაზიანებული და გაყინული ნაწილების წაყინვის შემდეგ მაშინვე მოცილება უფრო კოსმეტიკური ღონისძიებაა, ვიდრე აგრონომიული.

თესლოვანი და კურკოვანი ხილი განსაკუთრებულ გასხვლას არც მოითხოვს. კაკლოვან და სხვა სუბტროპიკულ კულტურებზე გაყინული ნაწილების მოცილება-გასხვლა უნდა მოხდეს განმეორებითი წაყინვის ალბათობის რისკის შემცირების შემდეგ და ახალი ყლორტების გამოჩენისთანავე, საორიენტაციოდ წაყინვიდან 10-14 დღის შემდეგ. ამ დროს, ძირითადად, ხდება დაზიანებული ყლორტების დამოკლება მწვანე, ჯანსაღ, დაუზიანებელ ნაწილებამდე.

- **განოყიერება**

სიცივით დაზიანების შემთხვევაში, ძირითადად, ვითარდება ზოგიერთი მაკრო და მიკროელემენტების (კალციუმი, თუთია, მანგანუმი, რკინა, მაგნიუმი და სხვ.) ნაკლებობა.

თუმცა უმჯობესია, დაველოდოთ ახალი ყლორტების ბუნებრივ ზრდას. შესაბამისად, ახალი ნაზარდის (2-3 სმ ზრდა) გამოჩენის შემდეგ, საორიენტაციოდ წაყინვიდან 3-5 დღის შემდეგ, მიკროელემენტების, ამინომჟავების, ორგანული და მინერალური საკვები ელემენტების გამოყენება შესაბამისი დოზირების (ეტიკეტზე მითითებული დოზების თანახმად) მიხედვით, როგორც ფესვგარეშე, ასევე ნიადაგში შეტანის გზით, სასარგებლო იქნება.

გასათვალისწინებელია, რომ აზოტით გამოკვება შედარებით შემცირებული უნდა იყოს.

- **მორწყვა**

წაყინვის შემდეგ მორწყვა უნდა ჩატარდეს საჭიროების მიხედვით, სტანდარტული მორწყვის დოზის შემცირებული დოზით. წვეთოვანი ირიგაციის გამოყენების შემთხვევაში 20-30 მl/ჰა, ნაცვლად 40-60 მl/ჰა-ზე. თუმცა შემდეგი მორწყვები ჩვეულებრივი სქემით უნდა განხორციელდეს.

- **წამლობა ფუნგიციდებითა და ინსექტიციდებით**

მეცნიერულად ან პრაქტიკული ცდებით არ არის დადასტურებული რაიმე ტიპის ეფექტი რომელიმე ტიპის ფუნგიციდის გამოყენების შემთხვევაში წაყინვის შემდეგ.

წამლობა უნდა ჩატარდეს შესაბამისი სქემითა და პერიოდით, რაც დადგენილია წაყინვის მიუხედავად. გასათვალისწინებელია, რომ წაყინვის შემდეგ იზრდება ახალგაზრდა ყლორტების დაავადებებითა და მწუწნი მავნებლებით (ბუგრები და სხვ.) დაზიანების ალბათობა. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათ კონტროლს.

**ზვიად ბოგოქაშვილი,**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერების დოქტორი; ჟურნალი „აგრობაზისი“**

# ვისაც ყვავილების მოვლა უყვარს – რჩევები სპეციალისტისგან

*ყვავილების სურნელით სავსე ბაღში ყოფნას არაფერი სჯობს.*

*აპრილში ჩვენს ბაღში რიგი ღონისძიებების ჩატარება შეგვიძლია. გაზაფხულზე ჩვენგან ყურადღებას ქოთნის ყვავილებიც ითხოვენ; როცა ღამით ტემპერატურა სტაბილურად 10 გრადუსი იქნება, მათ აივანზე ვაბინავებთ და სექტემბრის ბოლოს ისევ ოთახში ვაბრუნებთ.*

*რა ღონისძიებები ჩავატაროთ აპრილში, როგორ დავაფესვიანოთ ვარდის კალამი, ტალავერის გასალამაზებლად რომელი მცენარე გავაშენოთ, რა სიხშირით მოვრწყათ ყვავილები და როგორ მოვუაროთ ქოთნის მცენარეებს? – ამ და სხვა თემებზე ბიოლოგი, **მარინა ბეთანელი** გვესაუბრება.*

**მარინა ბეთანელი:** ზოგიერთი მცენარე აუცილებლად შემოდგომაზე უნდა დაირგას. მაგალითად ბოლქვიანი მცენარეები, ტიტები, ნარცისები რომლებსაც შემოდგომაზე ვრგავთ, მიწაში იზამთრებენ და ადრე გაზაფხულზე ყვავილობენ. 20 აპრილის შემდეგ კი ხე-მცენარეებისა და ბუჩქების დარგვა უკვე შეგიძლიათ.თქვენს მკითხველს შეუძლია, ამ თვეში ნებისმიერი ნერგი, დეკორატიული, მოყვავილე შეიძინოს და დარგას. გაფხვიერება ყველა მცენარეს სჭირდება. რაც შეეხება მორწყვას – თუ წვიმიანი ამინდებია, რასაკვირველია დამატებით მორწყვას არ საჭიროებს, მაგრამ თუ გვალვებია მაშინ წყლით დატენიანებაა საჭირო. არ დაგვავიწყდეს სარეველას მოშორება. მავნებლების საწინააღმდეგოდ გირჩევთ, ეწვიოთ მემამულეთა კავშირს (მეტრო დიდუბის წინ, ყოფილი სამთო ქიმიის შენობაში) და წამალი შეიძინოთ.

**– ეზოში რომელი მცენარე გავაშენოთ, რომ ტალავერი ლამაზი გამოვიდეს?**

– რასაკვირველია, გლიცინია. მოსავლელად უმარტივესია – წელიწადში 2, 3 მეტრ ყლორტს აგდებს, ტალავერს ძალიან სწრაფად ფარავს და ორჯერ: გაზაფხულსა და შემოდგომაზე ყვავის. ნერგებიც იყიდება. ნამდვილად მშვენიერი ტალავერი გექნებათ.

**– როდის დავრგოთ ჩითილები?**

– ჩითილების დარგვა ჯერ ცოტა ადრეა. მართალია ამინდზეა დამოკიდებული, მაგრამ მაინც გირჩევთ, მაისში დარგოთ.

**– ზოგადად, ბაღში რომელი ყვავილის დარგვას გვირჩევთ?**

– რომელი ყვავილიც თქვენ გაგიხარდებათ – ეს დამოკიდებულია ბაღის მეპატრონეზე, მის გემოვნებაზე; გააჩნია, რომელ რეგიონზეა საუბარი. აღმოსავლეთ საქართველო აბსოლუტურად სხვაა, დასავლეთ საქართველო სუბტროპიკია. გეოგრაფიული ზონის მიხედვით, თბილისი ნახევრად უდაბნოა, ამიტომ დასავლეთ საქართველოში რაც ყვავის და მთელი წელი ყვავის, ასეთ მცენარეს ჩვენს დედაქალაქში უჭირს.

დარგეთ მცენარეები რეგიონის შესაბამისად. სუბტროპიკული მცენარეები თბილისში იშვიათად ხარობს, თუ არ არის შესაბამისად დაცული ქარისგან – მას უყვარს ტენი. გაითვალისწინეთ, რომ მრავალწლიანი მოყვავილე მცენარეები ყვავილობენ გაცილებით უფრო მოკლე ხანს, ხოლო ერთწლიანი მოყვავილე მცენარეები, რომლებიც გაზაფხულზე იფესვება, დიდხანს ყვავილობენ.

**– როგორ დავაფესვიანოთ ვარდის კალამი?**

– როგორც წესი, ვარდი შემოდგომასა და გაზაფხულზე ისხვლება. ჩვეულებრივ, ეზოს ვარდი, ყველა რასაც ეზოს მაკრატლით მოჭრით, მინაში ცერად ჩაარჭეთ და დატოვეთ. როგორც წესი, 100-დან 80% ფესვიანდება. ეს რაც შეეხება, ეზოს ვარდებს, ხოლო ჰოლანდიური ვარდის დაფესვიანება საკმაოდ რთული საკითხია.

**– რას გვეტყვით ქოთნის ყვავილებზე? – საჭიროა, თუ არა გაზაფხულზე მიწის გამოცვლა და როგორ გადავრგოთ, რომ ყვავილი არ დაზიანდეს და არ მოიწყინოს?**

– ყოველ წელს ყველა მცენარეს გადარგვა არ სჭირდება – ეს ესაჭიროება მხოლოდ იმ მცენარეებს, რომლებიც სწრაფად, აქტიურად იზრდებიან. ქოთნის შესაცვლელად, უნდა შეარჩიოთ, არსებულ ქოთანზე ორი თითის ზომაზე განიერი – დამერწმუნეთ, დიდი ზომის ქოთნის შეძენა უარეს შედეგს მოგცემთ, ეს შეცდომაა! როცა მცენარე გაიზარდა და უკვე დიდია, შეგიძლიათ 3-4 წელიწადში ერთხელ გადარგოთ. მიწა არ გამოუცვალოთ მთლიანად; მხოლოდ ზედაპირი მოხსენით და ზემოდან ახალი მიწა მოაყარეთ. თუ წელიწადში ერთხელ უნივერსალურ სასუქსაც მიაშველებთ, იდეალურად იგრძნობს თავს. როგორ მივხვდეთ, რომ მცენარე გადასარგავია? – ძირში ყველა ქოთანს ნახვრეტი აქვს, შევხედოთ და თუ ფესვს დავინახავთ, მაშინ ახალი ქოთნის შეძენა მოგვიწევს. გახსოვდეთ, რაც დიდია ქოთანი, მით მეტი გამოუყენებელი მიწა რჩება და შედეგად, მცენარე ლპობას იწყებს.

ვიდრე ქოთანში მცენარეს დარგავთ, 2 სანტიმეტრის სიმაღლეზე კენჭები, ან ძველი კერამიკის ქოთნის ნამტვრევები ჩაყარეთ, რომ ნახვრეტი რაშიც წყალი უნდა გავიდეს, მიწით არ აივსოს და მორწყვისას წყალი ადვილად გავიდეს – ერთგვარი დრენაჟის ფუნქცია შეკვქმნათ.

**– რა სიხშირით უნდა მოვრწყათ ყვავილები გაზაფხულსა და ზაფხულში?**

– როცა დაინახავთ, რომ ზედაპირი გამოშრა, მაშინვე უნდა მორწყათ. ტროპიკული, ან სუპტროპიკული მცენარე, რომელიც ოთახში გყავთ არ გამოაშროთ და უმჯობესია, ნესტიანი იყოს. ორქიდეა საერთოდაც წყლით სავსე ლამბაქში უნდა მოვათავსოთ.

სხვა მცენარეებს რაც შეეხება – კვირაში ორჯერ მორწყვა სრულიად საკმარისია. დაიხსომეთ, ზედმეტი წყალი დამღუპველია და სჯობს დააკლოთ, ვიდრე ზედმეტად მორწყათ. წყალს ფოთლებსაც აპკურებენ ხოლმე – ზაფხულში ეს პროცედურა ყველა მცენარეს სიამოვნებს, მაგრამ არა მაშინ, როცა მცენარეს მზე აცხუნებს – მორწყეთ დილით ადრე, ან მზის ჩაცვლის შემდეგ.

**– რას გვეტყვით კაქტუსზე, ოთახის პალმაზე, ბარაქის ხესა და ოთახის იაზე?**

– კაქტუსი უმარტივესი მოსავლელია: სჭირდება არც ისე ნოყიერი ნიადაგი და პატარა ზომის ქოთანი. ოთახის პალმას ისევე უვლი, როგორც ოთახის სხვა მცენარეს: წყალს აპკურებ ფოთლებს, მტვერი რომ არ დაედოს ხშირად წმენდ სველი გუბკით, ან ბამბით – ეცადეთ, მიწის ზედაპირი არ გამოუშრეს.

ბარაქის ხე – რატომღაც ყველას ჰგონია, რომ რაც უფრო მეტ წყალს დაასხამს უფრო სწრაფად გაიზრდება, მაგრამ სინამდვილეში მინიმალურ წყალს მოითხოვს. გაზაფხულსა და ზაფხულში მორწყეთ თვეში ორჯერ, ზამთარში თვეში ერთხელ. თუ ზაფხულში გვალვაა თვეში სამჯერ – ოღონდ წყლის ძალიან მცირე დოზით. დაგჭირდებათ ძალიან პატარა ქოთანი. გახსოვდეთ, რომ ბარაქის ხეს წყალი თავად აქვს ფოთლებში. წარმოიდგინეთ ამის ფონზე თქვენ ხშირად რწყავთ,

ზედმეტ წყალს აწვდით და შედეგად ყრის ფოთლებს და ულპება ღერო.

კიდევ ერთი უნივერსალური წესი არსებობს: რა ზომისაცაა მცენარე, იმის მესამედი უნდა იყოს ქოთანი სიმაღლეში – აი, ამ შემთხვევაში გრძნობს მცენარე თავს კომფორტულად. ბარაქის ხის შემთხვევაში კიდევ უფრო პატარა ზომის ქოთანია საჭირო, რადგანაც პატარა ფესვი აქვს.

იას კარგი განათებული ფანჯარა უყვარს და ზემოდან არ მორწყათ – ფოთლებს წყალი არ მიაკაროთ, იმიტომ რომ ლპება. წყლიან ლამბაქზე დადგით და თავად აისრუტავს.

**– როგორ მოვიქცეთ თუ რომელიმე მცენარეს ფოთლები გაუხმა?**

– გამხმარი ფოთოლი უნდა მოაშოროთ. ჯერ ერთი ვიზუალურადაა უშნო და მეორეც, მცენარე ხარჯავს ენერგიას, რომ როგორმე აღადგინოს. ბასრი მაკრატლით მოჭერით. საერთოდაც, ლპობა რომ არ დაიწყოს, წინასწარ კარგად სპირტით დაამუშავეთ.

# ქინძმარაული – ყვარლის სავიზიტო ბარათი




გეოგრაფიული მდებარეობა – მევენახეობის სპეციფიკური ზონა «ქინძმარაული„ მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა კახეთში, ყვარლის ადმინისტრაციულ რაიონში, კავკასიონის განშტოების სამხრეთ დაქანებაზე. სამრეწველო ვენახები ძირითადად განლაგებულია ზღვის დონიდან 250-550 მ სიმაღლის საზღვრებში, მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროზე (გაღმამხარი). ბარის ძირი უკავია ალაზნის ვაკეს, რომელიც ჩრდილოეთისაკენ მაღლდება – გადადის მთისწინეთის ზოლში და მიბჯენილია კავკასიონის ძირზე.

„ქინძმარაულის„ ღვინომასალის მისაღებად არსებული ტერიტორია შიდა კახეთის ნაწილს მოიცავს და მდინარე ალაზნის მარცხენა, მეორე ტერასაზეა წარმოდგენილი, მისი შენაკადი მდინარეების: დურუჯის, ბურსის, ჩელთის, ინწობას, ავანისხევის და შოროხევის მარჯვენა და მარცხენა მხარეს. ჩრდილოეთით ემიჯნება კავკასიონის მთების სამხრეთი კალთების დაბოლოებას. აღნიშნული ტერიტორიის დასავლეთი ნაწილი მდინარე დურუჯის მარჯვენა მხარიდან მოყოლებული რელიეფურად უფრო სამხრეთ-დასავლეთისაკენ დახრილი ვაკეა სუსტი ტალღისებური ზედაპირით, ხოლო დანარჩენი ტერიტორია აღმოსავლეთის მიმართულებით სამხრეთისაკენ

დახრილ ვაკეს წარმოადგენს. აღნიშნული ზონა ზღვის დონიდან 250-550 მ ფარგლებშია და მოიცავს თვით ქინძმარაულისა და ყვარელის ადმინისტრაციულ ტერიტორიას, დასავლეთის მიმართულებით სოფლების: შილდის, ენისელის, საბუეს, ალმატის, გრემის და შაქრიანის შუა და ზედა ნაწილს, რომლებიც ალაზნის მეორე ტერასაზე მდებარეობენ. აღმოსავლეთის მიმართულებით კი სოფლების: ფატმასურის, სანავარდოს, კუჭატანის, წიწკანაანთ სერის, ჩანტლის ყურის, ზინობიანის, ახალსოფლის, თხილის წყაროს, მთის ძირის, ჭიკაანის ძირითადად და ნაწილობრივ გავაზისა და ბალღოჯიანის ტერიტორიებს ალაზნის პირველ ტერასამდე. აღნიშნული მიკროზონის მთლიანი ფართობი დაახლოებით 2400 ჰა-მდეა.

კლიმატი – „ქინძმარაულის„ მიკროზონაში ამინდის ფორმირებას ძირითადად განაპირობებს სუბტროპიკულ და ზომიერ განედებში განვითარებული, მაღალმთიანი სისტემების ზეგავლენით გამოწვეული, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან გადმონაცვლებული ჰაერის მასები. ხეობის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან გახსნილობისა და ჩრდილო-დასავლეთი და სამხრეთის მხრიდან ჩაკეტილობის გამო, აქ გაბატონებულია ხეობის მიმართულების – ჩრდილო-დასავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულების ქარები. ხეობის თავისებური ჩაკეტილობის შედეგად ქარის სიჩქარე დიდი არ არის. კლიმატი ზომიერად ნოტიოა, ზომიერად ცივი ზამთრით და თბილი ხანგრძლივი ზაფხულით.

არსებული ვენახები და სავენახე ფართობები ძირითადად მდებარეობს სამხრეთ და მის მიმდებარე დახრილ დაქანებაზე. ყურძნის მარცვლების ფორმირებისა და სიმწიფის პერიოდში, ქინძმარაულის განედისათვის მზის სიმაღლე შესაბამისად 60-700და 40-500-ის ფარგლებშია. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 2050 საათია.

ზონაში ყურძნის მარცვლების ფორმირებისა და სიმწიფის პერიოდში, ცის თაღის 8-10 ბალიანი ღრუბლებით დაფარულობა თანმიმდევრულად 20 და 18 დღეს უდრის, ხოლო მოწმენდილი დღეები (0-2 ბალი) მოღრუბლულობით 15 და 16 აღწევს.

ამასთან, განედური მიმართულების ხეობაში, სამხრეთული დაქანების მთისწინეებზე წარმოქმნილი ისეთი ძირითადი აგროკლიმატური ფაქტორები, როგორიცაა: მზის სხივური ენერგია, სითბოს რაოდენობა, ზაფხულის ზომიერი ტემპერატურა, ადგილმდებარეობის საკმაო დატენიანება, კომპლექსურად ქმნის ხელსაყრელ პირობებს საფერავის მაღალხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად.

მდ. დურუჯის ჩამონაზიდ მოშავო ფერის ფიქალების ზედაპირზე, დღის განმავლობაში ტემპერატურა მეტია; შუადღის საათებში ტემპერატურა 3-5°-ით აღემატება მოსაზღვრე ტყის ალუვიურ-უკარბონატო ნიადაგების ზედაპირის ტემპერატურას.

მოშავო ფერის ნიადაგის ზედაპირზე დაცემული სხივური ენერგიის არეკვლის ნაკლები უნარი (15%) გააჩნია. ენერგიის მეტი შთანთქმის შედეგად, ნიადაგის ტემპერატურა იზრდება. ამ ნიადაგებზე გაშენებულ ვენახს 20% მზის სხივების არეკვლის უნარი ახასიათებს.

„ქინძმარაულის„ მიკროზონაში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 12, 50-ია, უთბილესი თვეების VII-VIII საშუალო ტემპერატურა 23, 6 გრადუსი, უცივესი თვისა კი +1, 0გრადუსია. საფერავი კვირტის გაშლას აპრილის შუა რიცხვებში (15. IV-დან) იწყებს. ყვავილობა მაისის ბოლოს, ყურძნის სიმწიფის დაწყება კი აგვისტოს მეორე ნახევარში აღინიშნება (20. VIII-დან). ყურძნის ტექნიკურად მომწიფება სექტემბრის ბოლო რიცხვებში ხდება. ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინომასალის მისაღებად ყურძენი ოქტომბრის შუა რიცხვებში უნდა დაიკრიფოს.

„ქინძმარაულის„ მიკროზონაში შემოდგომით პირველი წაყინვები 21. XI-დან იწყება, 10 წელიწადში ერთჯერ პირველი წაყინვები შესაძლოა ადრე, ოქტომბრის ბოლო რიცხვებში დაიწყოს. გაზაფხულზე ბოლო წაყინვები საშუალოდ 26. III-დან წყდება. 10 წელიწადში ერთხელ საგვიანო წაყინვები შესაძლოა აპრილის შუარიცხვებამდე გაგრძელდეს. ზონაში უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა 239 დღეს უდრის.

ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი ქინძმარაულის მიკროზონაში 1070 მმ, ხოლო სავეგეტაციო პერიოდში 800 მმ უდრის.

ჰაერის შეფარდებითი სინოტივის წლიური მნიშვნელობა 72% უდრის. ჰაერის ტენით გაჯერება ყველაზე ნაკლებია (66-64%) ზაფხულის თვეებში (ივნისივლის-აგვისტოში), შედარებით მეტი (80%) შემოდგომის დასასრულს და ზამთრის დასაწყისში.

თოვლის საფარი დეკემბრის ბოლო დეკადაში (25. XII-დან) იქმნება, რომელიც მარტის შუარიცხვებში ქრება. თოვლიან დღეთა რიცხვი ზამთარში 210-ზე მეტი არ არის. მიკროზონაში თოვლის საფარი არამდგრადია, 87%.

სეტყვიანი დღეების რიცხვი წელიწადში საშუალოდ 2, 1-ს უდრის. წლის განმავლობაში ყველაზე სეტყვიანი მაისია (0, 9 დღე); აპრილში, ივნისში და ივლისში თითოეულში ცალ-ცალკე სეტყვა 0, 3 დღეს არ აღემატება.

მიკროზონაში ძირითადად გაბატონებულია დასავლეთიდან (23%) და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან (17%) მომართული ქარები. უქარო დღეები წელიწადში საშუალოდ 31%-ს უდრის. ქარის სიჩქარეს აძლიერებს აქ წარმოქმნილი მთა-ხეობის ქარები. ღამით, მზის ამოსვლამდე, კავკასიონის მაღალი მწვერვალებიდან დაშვებული ცივი ჰაერის მასები ზამთრის ყინვებს და გაზაფხულის წაყინვების საშიშროებას ადიდებს. ალაზნის ხეობის ეს მიკროზონა მიეკუთნება მავნე ქარების ზემოქმედების III ჯგუფის რაიონებს.

ნიადაგები – არსებული კვლევისა და ჩვენს მიერ 2005 წელს ჩატარებული მასალების საფუძველზე მიკროზონის ტერიტორიაზე გამოყოფილია ალუვიური ნიადაგების ორი სახეობა, ცხრა სახესხვაობით და დელუვიური ნიადაგების ორი სახეობა ხუთი სახესხვაობით.

ზემოთ დასახელებული ნიადაგებიდან პირველი ათი სახესხვაობა ალუვიური ნიადაგებისა წარმოდგენილია ალაზნის მეორე ტერასაზე და ძირითადად ვაკე რელიეფის ფორმებით ხასიათდებიან, ხოლო მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 სახესხვაობები დელუვიური ნიადაგებისა კავკასიონის სამხრეთ კალთების დაბოლოებაზე არიან წარმოდგენილი და უშუალოდ ემიჯნება სამხრეთ კალთებს, რომელიც ზღვის დონიდან 400-500 მეტრის ფარგლებშია, რელიეფურად ეს ფართობები სამხრეთისაკენ და სამხრეთ-დასავლეთისაკენ სუსტად დაქანებულ შლეიფებს წარმოადგენს.

ანალიზის მონაცემებიდან გამომდინარე, აღნიშნული ნიადაგები მექანიკური შედგენილობით ძირითადად თიხნარებს მიკუთვნებიან. გამონაკლის შემთხვევებში კი მსუბუქი თიხიანობით ხასიათდებიან. ჰუმუსის შემცველობის მიხედვით ძირითადად საშუალო მაჩვენებლით ხასიათდებიან და ნიადაგის აქტიურ ფენაში 50-70 სმ-ის სიღრმემდე 5, 5-2, 5%-ის ფარგლებშია, ქვედა ფენებში კი თანდათან მცირდება და 2, 5-0, 5%-ის ფარგლებშია.

აღნიშნული მიკროზონის ტერიტორიის ნიადაგური მახასიათებლები, ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე, შესაძლებლობას იძლევა ვაზის ჯიში საფერავი გამოყენებული იქნეს ღვინო „ქინძმარაულის„ წარმოებისათვის.

აგროტექნოლოგიური რეგლამენტები – „ქინძმარაულის„ დასახელების ღვინის მისაღებად, ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით, დაცული უნდა იქნეს შემდეგი აგროტექნოლოგიური რეგლამენტები.

### ჯიში საფერავი

გავრცელების არეალი: ზღვის დონიდან 250-550 მეტრამდე.

დარგვის სქემა: 3, 0 X 1, 5 მ; 2, 5 X 1, 25 მ; 2, 5 X 1, 5 მ-ზე.

შტამბის სიმაღლე: 70-90სმ.

სხვლის ფორმა: ქართული ორმხრივი შპალერი და თავისუფალი.

დატვირთვის ნორმა 1მ2-ზე: 8-10 კვირტი. 1ჰა-ზე 80-100 ათასი კვირტი.

მოსავალი: 1 ჰა-ზე 7-8 ტონა.

გადაუდებელი აგროლონისძიება: მოსავლიანი ყლორტების ნორმირება დადგენილი აგრორეგლამენტების ფარგლებში, რეგლამენტირებული მოსავლის მისაღებად.

### ნიადაგის მოვლა-დამუშავება

ნიადაგის საშემოდგომო და საგაზაფხულო ხვნები. ნიადაგის მინიმალური დამუშავება. ტენდამცველი ღონისძიებები – ნიადაგის ზედაპირის ფხვიერ მდგომარეობაში შენარჩუნება (კულტივაცია, ფრეზირება, მულჩირება). სავეგეტაციო მორწყვის დამთავრება რთველის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, ურწყავში – საშუალო და დიდი დაქანების ფერდობებზე ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები: ნიადაგის მინიმალური და ნულოვანი დამუშავება; ბალახიან-კორდიანი სისტემა; ნიადაგის მულჩირება.

### განოყიერება

ორგანულ-მინერალური სასუქების გამოყენება კარტოგრაფიული აგრორეგლამენტებით.

ფიტოსანიტარული რეგლამენტი:

ძირითადი დაავადებები: ჭრაქი, ნაცარი, ანთრაქნოზი, სიდამპლეები.

მავნებლები: ტკიპები, ყურძნის ჭია, ვაზის ცრუფარიანა.

ბრძოლის ღონისძიების გატარება: საქართველოში რეგისტრირებული, კონტაქტური და სისტემური პრეპარატებით.

### საფერავისსამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

საფერავი ქართული წითელყურძნიანი მეტად მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი საღვინე ვაზის ჯიშია. მიკროზონაში ყურძენი სექტემბრის მეორე ნახევარში მწიფდება, ხოლო რთველი ოქტომბრის პირველ ნახევრამდე გრძელდება. ვაზი საშუალოზე ძლიერი ზრდისაა. საშუალო მოსავალი 1 ჰა-ზე 7-8 ტ-ს აღწევს. მწიფე ყურძენში შაქრიანობა 26 პროცენტამდე ადის, 7, 5-8, 5 პროცენტი მჟავიანობით. სოკოვან დაავადებათა მიმართ არ იჩენს დიდ მგრძნობელობას.

### ღვინო „ქინძმარაული„

„ქინძმარაული„ – ადგილწარმოშობის დასახელების, კონტროლირებადი უმაღლესი ხარისხის წითელი ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინოა. იგი მზადდება საფერავის ჯიშის ყურძნისაგან.

ღვინო „ქინძმარაული„ ხასიათდება მუქი ბროწეულისფერი შეფერვით, გემოზე ჰარმონიული, სრული, ხავერდოვანი, დახვეწილი, სასიამოვნო სიტკბოთი, ხილის ტონებით და ჯიშური არომატით.

ღვინო „ქინძმარაულის„ ქიმიური მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მაჩვენებლებს:

მოცულობითი სპირტშემცველობა – 10, 5-12, 0%;

შაქრების მასიური კონცენტრაცია – 30-50გ/ დმ3;

ტიტრული მჟავიანიბა – 5-7გ/დმ3;

აქროლადი მჟავიანობა – არაუმეტეს 1, 2გ/დმ3;

დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია – არანაკლებ 20 გ/დმ3;

გოგირდოვანი მჟავის საერთო მასის კონცენტრაცია – არაუმეტეს 210 მგ/დმ3;

თავისუფალი გოგირდოვანი მჟავის კონცენტრაცია – არაუმეტეს 30 მგ/დმ3.

დანარჩენი ნორმატივები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს საკანონდებლო აქტებს და ევროსაბჭოს 1999 წლის 17 მაისის 1493/1999წ დადგენილებას.

ქინძმარაულის მიკროზონის განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა – დიდი კავკასიონის მაღალი მთების სამხრეთით მიბჯენილი მთისწინეთის გავლენით ჩამოყალიბებული მიკროკლიმატი, მდინარეების ჩამონაზიდ შავფიქალებზე განვითარებული ხირხატიანი ნიადაგები. ვენახში შექმნილი მეტად ხელსაყრელი სითბური რეჟიმი და თვით ვაზის ჯიშის, საფერავის, უნიკალური თვისებები – ეკო-ლოგიური პლასტიურობა, განსაზღვრავენ ორიგინალური მაღალხარისხოვანი ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინის, „ქინძმარაულის„ სპეციფიურ საგემოვნო თვისებებს.

**მოამზადა**
**ალექსანდრე გიგილოშვილმა**

# გაზაფხული ვენახში – გაზაფხულზე ვენახში გასაკეთებელი რამდენიმე აუცილებელი საქმე

კარგი მეღვინე გაზაფხულიდან იწყებს ზრუნვას შემოდგომაზე დასაწური ღვინის ხარისხზე. კარგი მეღვინე კარგი მევენახეცაა – მთელი წლის განმავლობაში ვენახში ფუსფუსებს და გასხვლიდან დაწყებული რთველით დამთავრებული, ვაზის ყოველი გასაჭირი იცის.

კარგი მეღვინის მთავარი მოკავშირე და პარტნიორი მისივე ვენახია. მეღვინე და მევენახე მთელი წლის განმავლობაში ეხმარებიან ერთმანეთს და ერთობლივი ძალებით ცდილობენ, შექმნან ისეთი ღვინო, რომელიც ადამიანებს შვებას და ლხენას მოუტანს.

გაზაფხულზე ვენახში რამდენიმე აუცილებელი საქმეა გასაკეთებელი. ყველაზე მნიშვნელოვანი კი გასხვლაა. ზოგიერთი ვენახს შემოდგომაზე სხლავს და საქმეს წინ იგდებს. თუმცა, შემოდგომაზე გასხლული ვაზი გაზაფხულზე შედარებით ადრე იღვიძებს და ნაადრევი ყინვის შემთხვევაში, შეიძლება, პრობლემებიშეექმნას. ამავე დროს, ძლიერ ყინვიანი ზამთრის პირობებშიც არსებობს შემოდგომაზე გასხლული ვაზის დაზიანების რისკი. ამიტომ ბევრი მევენახე გასხვლას გაზაფხულის პირზე – თებერვლის ბოლოს ამჯობინებს. წელს დიდთოვლიანი ნალექის გამო საქართველოში ვენახები მარტის შუა რიცხვებში გაისხლა.

გასხვლის რამდენიმე მეთოდი არსებობს და ყველას თავისი მიმდევარი ჰყავს. არსებობს ყველაზე აპრობირებული, კარგად დაცდილი მეთოდებიც. ცხადია, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია, როგორაა ფორმირებული ვაზი – დაბლარზეა, ოლიხნარზეა, ტალავერზეა თუ ხეზეა აშვებული. ერთი შეხედვით, გასხვლის კულტურა ყველაზე მეტად დაბლარ მევენახეობას უკავშირდება, მაგრამ დასავლეთ საქართველოში არსებული მაღლარი მევენახეობის გასხვლის ტრადიციები გვიჩვენებს, რომ მევენახეს არანაკლები შრომა სჭირდება ოლიხნარის, ტალავერისა და თვით ხეზე აშვებული ვაზის (ბაბილო) გასასხლავად. გურიაში ვაზის ხეზე ფორმირებისათვის ისეთ ხეებს იყენებდნენ, რომ მასზე ადვილად ასულიყვნენ და შეძლებისდაგვარად გაესხლათ. მურყანის (იგივე – რთხმელა, თხემლა) გარდა, ამისათვის არჩევდნენ ტყის ხურმას, რომელსაც რთხმელაზე ბევრად უფრო წვრილი ფოთლები აქვს და ამიტომაც ვაზს მეტი მზის სხივები მიეწოდება. გარდა ამისა, ტყის ხურმა გურულ მევენახეს გვიან შემოდგომაზეც ეხმარება, როცა ხურმა მწიფს და ჩიტები მის ტკბილ ნაყოფს უფრო ეტანებიან, ვიდრე ხეზე აშვებული საგვიანო ვაზის ჯიშების – ჩხავერის, ჯანის, სხილაათუბანისა და სხვათა ყურძენს.

ვაზი საერთოდ რომ არ გაისხლას, თანდათან გაველურდება და დაკნინდება. განსაკუთრებით სწრაფად ეს პროცესი დაბლარ ვენახში მიმდინარეობს.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სასხლავი იარაღები და ისტორიული წყაროები მიგვითითებს, რომ ქართველი მევენახეებისთვის დაბლარი მევენახეობა უცხო არ ყოფილა. ახლანდელ ვენახებთან შედარებით, უწინდელი დაბლარი ვენახები იმით განსხვავდებოდა, რომ თითოეულ ვაზს ინდივიდუალური საყრდენი ჰქონდა (ხარდანი, ჭიგო, სარი), ყოველგვარი მავთულის გარეშე. გასხვლისას ერთ მთავარ რქას არჩევდნენ და 12-14 კვირტზე სხლავდნენ, მომავალი წლისთვის კი ორ ნეკს უტოვებდნენ. შემდეგში უკვე გაფოთლილ, მსხმოიარე მუშა რქას ხრიდნენ და ჭიგოზე ახვევდნენ, რათა ქარისგან ან მწიფე ყურძნების სიმძიმისაგან არ მოტეხილიყო.

მეღვინეობის სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ე. წ. ახალ სამყაროში (ავსტრალია, ახალი ზელანდია, აშშ, არგენტინა და სხვა), ვენახები ხშირად თვალუწვდენელ ფართობებზეა გაშენებული და ადამიანის ხელით მათი გასხვლა წარმოუდგენელია. ამიტომაც იქ კარგა ხანია, გასხვლის მექანიზებული მეთოდებია დანერგილი. თუმცა, მანქანით გასხლული ვენახისგან მიღებული ყურძენი, ძირითადად, მასობრივი წარმოების ღვინისათვის თუ გამოდგება. სასხლავი მანქანა ღვინის ბიზნესში ჩართული ადამიანების მოკავშირეა, ვინც მილიონობით ბოთლი ღვინის გაყიდვაზე ფიქრობს. ხოლო მათთვის, ვისთვისაც მეღვინეობა შემოქმედებითი პროცესია და ვინც მაქსიმალურად მაღალი ღირსების ღვინის შექმნაზე ზრუნავს, მექანიზებული სხვლა მიუღებლია.

კომპანია „ხარებას„ მეღვინის, ლადო კუბლაშილის თქმით, კარგი ღვინო გაზაფხულის სამუშაოებიდან იღებს სათავეს და არა იმ სავსე ყანწიდან, რომელიც საშუალო სტატისტიკურ მოქეიფეს უჭირავს: „გასხვლისას ჩვენ უკვე დაახლოებით ვიცით, რას მივიღებთ ამა თუ იმ ვენახიდან. კომპანია „ხარებას„ საკუთრებაში ამჟამად 500 ჰექტარი ვენახია და ცხადია, ამხელა ფართობის ვენახის მოვლა ადვილი საქმე არ არის. ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, დავნერგოთ ვენახების სპეციალური მენეჯმენტი. განსაკუთრებული ხარისხის ქვევრის ღვინოებისთვის გამოვყოფთ ცალკე ვენახებს, სადაც ვაზს ნაკლებად დავტვირთავთ და განსხვავებული მიდგომით მოვუვლით, ანუ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ. მასობრივი წარმოების ღვინოებისთვის კი ვენახი შედარებით მეტ მოსავალზე გვექნება გათვლილი. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ჩვენ ვაზს ძალიან არ დავტვირთავთ, რადგან არსებობს ზღვარი, რომლის იქით ჭარბი მოსავალი უკვე მდარე ხარისხის ღვინოს უდრის. ჩვენ ამ ზღვარს არასოდეს ვცდებით„.

გასხვლისათვის აუცილებელია, მევენახემ კარგად შეარჩიოს და გალესოს სასხლავი იარაღი. ძველად ვენახს დანით სხლავდნენ. ახლა ოდნავ მოკაუჭებულ, კარგად ალესილ სასხლავ დანებს მიყრუებულ ქართულ სოფლებში თუღა ნახავთ მოხუცი პაპების ხელში. დანა უფრო სანდო და მოხერხებულმა სასხლავმა მაკრატელმა შეცვალა, რითაც ვენახი უფრო სწრაფად და ამავე დროს, ხარისხიანად ისხვლება. თუმცა, ბოლო ხანს კარგი სასხლავი მაკრატლები საკმაოდ გაძვირდა. იაფად შეიძლება ისეთი მაკრატელი შეიძინო, რომელიც ერთი სეზონის შემდეგ ფუჭდება ან თავიდანვე ცუდად მუშაობს. ცუდი სასხლავი მაკრატელი ვაზის რქებს არასწორად ხლეჩს. დაზიანებული რქა შემდეგ ცუდად ხორცდება და დაავადების კერად იქცევა.

წელს პირველად მივიღე მონაწილეობა ვენახის სხვლაში. ქართული ვაზის ფონდის ვენახები ბაკურციხეშია გაშენებული. ორი წლის წინ ღვინის კლუბის რამდენიმე წევრმა აქ ქართული ვაზის იშვიათი ჯიშების ვენახის გაშენება გადავწყვიტეთ და ფონდიც ამ მიზნით დავაფუძნეთ. ამჟამად ბაკურციხეში 0, 7 ჰექტარზე ვაზის რვა ჯიში გვაქვს გაშენებული: ქისი, ხიხვი, კახური მცვივანი, ბუდეშურისებრი საფერავი, ვარდისფერი რქაწითელი, რქაწითელი, ღვინის თეთრა, მწვანე კახური. გასულ წელს გაშენებული ვენახი წელს პირველად გაისხლა ორ კვირტზე. ასეთი ახალშენის გასხვლა ერთი შეხედვით იოლია – ყველაზე საუკეთესო რქა უნდა შეარჩიო და ორამდე თვლა უნდა იცოდე, რომ ვაზებს ორ- ორი კვირტი დაუტოვო მიწის პირას. თუმცა, ვენახი თუ დიდ ფართობზეა გაშენებული და დამხმარეც ცოტა გყავს, სამუშაო დამღლელია, განსაკუთრებით – მუშაობას შეუჩვეველი ქალაქელი კაცისთვის. ამაში თვითონვე დავრწმუნდი, როცა ათასჯერ მაინც ჩამუხვლა დამჭირდა და მეორე დღეს დიდი ხნის უვარჯიშებელი ფეხის კუნთები მტკიოდა.

გასხვლის საიდუმლოებები მეღვინე სოლომონ ცაიშვილმა ამიხსნა: „ვენახს ყველა თავის ჭკუაზე სხლავს, იმისდა მიხედვით, თუ რას მოითხოვს და რას ელის მისგან. ვისაც უნდა, დიდი მოსავალი მოიწიოს, რომ ქარხნებს დიდი რაოდენობით ყურძენი ჩააბაროს, ვაზს „ტვირთავს„, ანუ მაქსიმალურად ბევრ რქას უტოვებს. ვინც ხარისხიან ღვინოზე ფიქრობს, იგი ორი–სამი რქის მეტს არ ტოვებს. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისეთი რქების სწორად ამორჩევას, რომლებიც ერთი მხრივ, კარგად დაისხამს, მეორე მხრივ კი ვაზის სწორად ფორმირებასაც განაპირობებს. ამას სათანადო ყურადღება არ ექცევა და ამიტომ არის შემთხვევები, როცა ვაზზე უნაყოფო რქებს ტოვებენ, ხოლო ვენახების დიდი ნაწილი საქართველოში უსწორმასწოროდ არის ფორმირებული. მე თითო ვაზზე, 6-7 კვირტზე გასხლულ ორ რქას ვტოვებ სანაყოფოდ და კიდევ – ორ–ორ ნეკს, ორ კვირტზე. ნეკები, როგორც წესი, არ ისხამს და სამომავლო რეზერვია – ე. წ. სამამულე რქები. ვაზს თუ სამამულე რქა არ დაუტოვე, შემდეგ წელს ნაყოფს ვეღარ გამოიტანს„.

გასხვლის შემდეგ გაზაფხულზე ვენახი უნდა გასუფთავდეს. ჩვენთან გასხლულ რქებს ერთად აწყობენ, კონავენ და ვენახიდან გამოაქვთ. ბევრი გლეხი ნასხლავს იქვე წვავს, რაც არც თუ ისე სწორი გადაწყვეტილებაა ეკოლოგიური თვალსაზრისით. ევროპაში ბევრი ბიომეევენახე ნასხლავ ლერწებს სპეციალური მანქანით აქუცმაცებს და ვენახში ტოვებს. დაქუცმაცებული ლერწები მიწას ერევა და საუკეთესო ორგანული სასუქია. საქართველოში ასეთი მანქანა–დანადგარი ფაქტობრივად არავის აქვს. ამიტომ ნასხლავის დაწვა ყველაზე პრიმიტიული და ადვილი გამოსავალია. ვისაც ვენახი დიდ ფართობზე არა აქვს გაშენებული და ნასხლავიც ბევრი არ რჩება, შეკონილი ლერწები შინ მიაქვს, აბინავებს და შემდეგ მთელი წლის განმავლობაში თონის გასახურებლად ან მწვადის შესაწვავად იყენებს. ცნობილია, რომ ვაზის ლერწზე შემწვარ მწვადს საუკეთესო გემო აქვს. ბოლო დროს თბილისის სუპერმარკეტებში დაფასოებული ლერწებიც კი გამოჩნდა ვაზის ლერწზე მწვადის შეწვის მოყვარულებისთვის. ნასხლავი ლერწების გაყიდვა საუკეთესო გამოსავალია ისეთ ვითარებაში, როცა არ ვიცით, რა მოვუხერხოთ ნარჩენებს. თუმცა, ეს ბაზარი ისე არ არის განვითარებული, რომ გლეხებმა ნასხლავის გაყიდვით დამატებითი შემოსავალიც მიიღონ და ცეცხლის დანთებით გარემოს საფრთხეც აღარ შეუქმნან.

შემოდგომაზე მოხნულ ვენახს გაზაფხულზე კულტივაცია სჭირდება. ვინც ვენახს ქიმიური სასუქით კვებავს, იგი იძულებულია, დახვნა–კულტივაცია ყოველ წელს ჩაატაროს. ორგანული სასუქის (ნაცარი, ნაკელი, კომპოსტი და ა.შ.) ოპტიმალური დოზით გამოყენება მევენახეობაში ბევრად უფრო ეკოლოგიური მიდგომაა. ასეთ შემთხვევაში, ვენახს ყოველ წელს დახვნაც არ დასჭირდება. სოლომონ ცაიშვილი, მაგალითად, ვენახს ოთხ-ხუთ წელიწადში ერთხელ ხნავს. აქ ისევ მნიშვნელოვანია საკითხი, თუ რისთვის გვჭირდება ვენახი. დიდი რაოდენობით ყურძნის მისაღებად, გლეხები ქიმიური სასუქის გამოყენებას და ყოველწლიურ ხვნას არჩევენ. ვენახს ყოველ გაზაფხულზე ასევე ხნავენ ის გლეხები, რომლებიც რიგებს შორის სხვა მცენარეებს თესავენ (პარკოსნებს და ა.შ.).

გასხვლისა და გასუფთავების შემდეგ იწყება ვენახების შეკეთება – დაზიანებული ბოძებისა თუ ჭიგოების შეცვლა, გამაგრება და გასწორება, აგრეთვე – მავთულების დაჭიმვა. ამის შემდეგ მევენახემ კვირტის გაშლამდე შეყელვა უნდა მოასწროს – სანაყოფედ დატოვებული რქები ბოძებზე გაჭიმულ მავთულზე მიაბას. როგორც წესი, რქები ყველაზე დაბლა, პირველ მავთულზე უნდა მიებას გადაწვენით, რათა ახალი ყლორტები შემდეგ ზედა მავთულებზე ავიდეს. შეყელვისას რქების მისაბმელად საუკეთესოა მცენარეული თოკები და სიმინდის ფუჩეჩი, რომელსაც წინა დღით წყალში ალბობენ, შემდეგ მსხვილად ძაფავენ და მისაბმელად იყენებენ. ბოლო ხანს შესაყელად ასევე გამოიყენება პლასტიკის სამაგრები. მნიშვნელოვანია, რომ შეყელვა დაიწყოთ მას შემდეგ, რაც რქაში წვენის მოძრაობა დაიწყება. წინაალმდეგ შემთხვევაში, მავთულზე გადაწვენისას, ზამთრის ძილის მდგომარეობაში მყოფი რქები სიმყიფისაგან ადვილად გაგიტყდებათ და იზარალებთ.

შეყელვის შემდეგ მევენახე ორი–სამი კვირით ისვენებს. დაახლოებით აპრილის ბოლოსკენ „კვირტი გამოვა„, ანუ ვაზი გაიფოთლება. ამ დროს ზოგიერთი მევენახე ვაზს გოგირდს ასხურებს. თუმცა, ღვინის კლუბის გამოცდილი მევენახეების რჩევით, ამ ოპერაციას შეგიძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართოთ, როცა წვიმიანი გაზაფხულია და ვენახში დაავადების გაჩენის რისკია.

გაზაფხულის ბოლო აკორდია ვაზის ყვავილობა. წელს ვაზი შედარებით გვიან – დაახლოებით მაისის შუა რიცხვებში აყვავდება. მანამდე კი, პირველი წამლობაც უნდა მოასწროთ და ახალგამოსული ფოთლები დაამშვაოთ. ყვავილობისას „ვენახის შეწუხება„ სარისკოა – ყვავილი დაზიანდება და მოსავალი შემცირდება.

**ალეკო ცქიტიშვილი**

Rvinis klubi/vinoge. com

# ახალშენი ვენახის მოვლა

ახალშენი ვენახის მოვლა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ვენახის გაშენების პირველ წელს ტარდება კოკოლების გაფხვიერება, სარეველების წინაალმდეგ ბრძოლა, ვაზის დაცვა სოკოვანი დაავადებისა და მავნებლებისგან.

ადრე გაზაფხულზე საჭიროა მწკრივთაშორისებში ნიადაგის კულტივატორით გაფხვიერება 10-12 სმ-ის სიგრძეზე, ხოლო მწკრივებში, კოკოლებს შორის დარჩენილი ადგილი დამუშავდება თოხის საშუალებით.

ნვიმის შემდეგ, საჭიროების მიხედვით, კოკოლები უნდა გაფხვიერდეს და შესწორდეს. ტარდება სანამყენედან გამოტანილი ფესვების შეჭრა და საძირეზე ამონაყარი ყლორტების მოცილება (ივნისის II ნახევრიდან). ნამყენს უნდა მიეყაროს ფხვიერი მიწა ისეთი რაოდენობით, რომ კოკოლის სიმაღლე პირველთან შედარებით შემცირდეს. ამ ღონისძიებას იმეორებენ 25-30 დღის შემდეგ. კოკოლის მესამედ გახსნის დროს მიწა აღარ მიეყრება, რადგან საჭიროა რქის ბაზალური ნაწილები მომწიფდეს. საჭიროა ახალშენ ვენახში ნიადაგი ყოველთვის ფხვიერ მდგომარეობაში იყოს, რისთვისაც სავეგეტაციო პერიოდში 5-8-ჯერ ტარდება კულტივაცია, ამდენჯერვე საჭიროა მწკრივების გათოხვნა.

სათანადო ვეგეტატიური ნაზარდის განვითარების შემდეგ საჭიროა ყლორტების 2-3-ჯერ აკვრა ჭიგოზე:

ა) ახალშენ ვენახში ფორმირების დასაჩქარებლად საჭიროა დარგვის პირველ წელს ჩატარდეს ვაზზე ყლორტების დანორმება, ერთი-ორი უკეთესი ყლორტის დატოვებით და მათი საყრდენზე აღზრდით. ზრდა – განვითრების სიძლიერის მიხედვით, მეორე წლის ვაზი გაისხვლება შტამბის სიმაღლეზე ან შტამბისა და სანაყოფის გამოყვანა მოხდება ერთდროულად, შტამბის ზონაში ყლორტების შეცლით, ხოლო შედარებით სუსტი განვითარების ვაზი დაინეკება, ე, ი გაისხვლება ფუძის 2-3 კვირტზე. მომდევნო წელს საჭირო იქნება ნიადაგის დამუშავება, ბრძოლა მავნებელ-დაავადებათა წინაალმდეგ, მწვანე ოპერაციების ჩატარების წესები, გასხვლა ფორმირება, შპალერზე გადაყვანის შემდეგ ისეთივეა, როგორც სრულმოსავლიანი ვენახისა.

ბ) შპალერი უნდა მოეწყოს ვაზის გაშენების პირველ და მეორე წელს. მოგვიანებით შპალერის მოწყობა აგვიანებს ვაზის ფორმირებასა და მსხმოიარობაში შესვლას. შპალერის მოსაწყობად საჭიროა: მავთული, ბოძები, ღუზის ქვა, მანქვალი (ხის ბოძებისათვის). საყრდენად გამოიყენება როგორც ხის, ისე ლითონის და რკინა-ბეტონის ბოძები. რიგში ბოძებს შორის მანძილი შეიძლება იყოს 5-6-7 მეტრამდე. ვაზის ზრდის სიძლიერის მიხედვით ეწყობა საშუალო და მაღალი შპალერი, როგორც წესი, საშუალო სიმაღლის შპალერი შედგება სამი წვერი მავთულისგან.

**ვ. გოცირიძე, ა. გოდაბრელიძე**

# კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი

ყვარელი – დიდი ილიასა და კოტე მარჯანიშვილის სამშობლო. მათი ნაფეხურები საუკუნოდ შემორჩენია ამ დალოცვილ მიწას, რითაც ასე რიგად ვამაყობთ ჩვენ, ყვარელელები. აქ ყველაფერი მომხიბვლელი, ლამაზი და საინტერესოა. ილიასა და კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმებით მოხიბლული მნახველი აღფრთოვანებულია. ამას მოწმობს ის ჩანაწერები, რომლებიც შთაბეჭდილებათა წიგნებში ინახება.

ხელოვნება სიცოცხლეს და ცხოვრებას გვილამაზებს, გვიხალისებს. თეატრის გარეშე არსებობა წარმოუდგენელია. ამიტომ ყოველი ჩვენგანის ვალია შემოვუნახოთ სახლ-მუზეუმებს ის, რაც მათ საკუთრებაშია – შთამომავლობასაც დავუტოვოთ ძვირფასი განძი.

დღესდღეობით კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის თანამშრომლები კეთილსინდისიერად, დიდი რუდუნებით ასრულებენ მათზე დაკისრებულ სამუშაოს, მაგრამ მათ წინაშე მრავალი პრობლემა დადგა, თუნდაც ის, რომ ის მემორიალური შენობა, რომელიც მე-19 საუკუნის არქიტექტურული ძეგლიცაა, კარგა ხანია კაპიტალურად არ შეკეთებულა. ამიტომ ვთხოვ ყველას, ვისაც კი გული შესტკივა ამ მამულიშვილური საქმისთვის, გადავარჩინოთ სახლ-მუზეუმი. წინასწარ უღრმეს მადლობას მოვახსენებ იმათ, ვინც გულთან მიიტანს ამ წერილს და ცოტაოდენ წვლილს მაინც შეიტანს კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის აღორძინების საქმეში.

**მერი პატარაძლიშვილი**

**11 ნოემბერი, 1995-97 წ. წ.**



# გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი

მას ყველა იცნობდა. ყველგან დიდი პატივისცემით ეგებებოდნენ – რაიონის დიდ სოფლებში, თუ მცირემოსახლეობიან თემებში. ოცდაათი წელი ყვარლის საფინანასო განყოფილების გამგედ იმუშავა კრისტალურად და უხარვეზოდ, როგორც უნიჭიერესმა ეკონომისტმა.

მას ჯეროვნად აფასებდნენ რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროშიც. არ აკლდა სიგელები და მედლები, მაგრამ მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის სიყვარული იყო. უცხო რამ იყო მისთვის ამპარტავნობა, გაუტანლობა, შური. ძმისშვილებზე გადაგებულ მამიდას როცა დასჭირდა, დიდი დახმარება გაუწია უდედოდ დარჩენილ ძმის შვილიშვილებს ელენეს და ნესტანს, პირად ცხოვრებაზე უარი თქვა, ბინა მათთან დაიდო და ისინი გამოზარდა; ასწავლა, სკოლა და უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრებინა, კარგ ადამიანებად ჩამოაყალიბა.

მამიდაშვილები, როგორი დამთმობი და გულითადი უნდა ყოფილიყო რძლებთან და სიძეებთან.

ვენერას მთელ არსებაში ჰქონდა გამჯდარი გლოვის კულტურა. როდესაც საყვარელი ბიძა, ჩვენი რაიონის ღვაწლმოსილი პედაგოგი, ელგუჯა ლოლიაშვილი სრულიად მოულოდნელად, 65 წლის ასაკში გარდაიცვალა, სასტიკად განიცადა. ამის გამო სიცოცხლის ბოლომდე გული სტკიოდა, ხშირად საუბრობდა მასზე და მის ორ ბრწყინვალე ვაჟკაცზე – დათო და გია ლოლიაშვილებზე, მათს მშობლებისდმი უსაზღვრო სიყვარულსა და პატივისცემაზე, მაგრამ სხვის ოჯახში ცრემლს არ გაშლიდა. კარგად იცოდა, სად უნდა ეტირა და როდის.

არაფერი ეშლებოდა მეზობლობაში, თანამშრომლობაში. ყველგან თან სდევდა სიკეთით გაჯერებული, მშვიდი ატმოსფერო.

# მსუბუქი იყოს შენთვის ყვარლის მიწა, ვალმოხდილო და ამაგდარო ქალბატონო!

ვენერა ქარენაშვილი (მას სიყვარულით „ნენეს„ ეძახდნენ) ღვთისგან იყო დასაჩუქრებული ნიჭით, მოწყალე გულით და თანადგომით. სიტყვასაც არ იტყოდა ისეთს, რომ ვინმეს სწყენოდა. ამ თვისებებმა შეაძლებინა მას, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის წარმატებულ კურსდამთავრებულს, ამავე სასწავლებლის კალათბურთის თვალსაჩინო სპორტსმენს, გაევლო ასეთი გრძელი და საინტერესო ცხოვრების გზა.

1955 წელს ყვარლის რაიონის საფინანასო განყოფილებაში დანიშნეს ყველაზე დაბალ თანამდებობაზე – მოანგარიშედ. ხელფასი 34 მანეთი. მისმა პიროვნულმა თვისებებმა, კერძოდ, პასუხისმგებლობამ და აკურატულობამ რამდენიმე თვეში ბიუჯეტის ინსპექტორის თანამდებობა დააკავებინა. მისი ნიჭი და შესაძლებლობები კარგად განჭვრიტა მაშინდელმა საფინანასო განყოფილების გამგემ – „ღრმად განსწავლულმა ფინანსისტმა, თავისი საქმის საუკეთესო მცოდნემ, უპატიოსნესმა პიროვნებამ – გიორგი ვასილის ძე კანანაძემ„ (ვენერას მემუარებიდან ციტატა) და მთავარ ბუღალტრად გადაიყვანა, შემდეგ იყო სახელმწიფო შემოსავლების ინსპექციის უფროსის მოადგილე და 1974 წლიდან – 2004 წლამდე საფინანასო განყოფილების გამგე.

ვენერა ქარენაშვილი ჭეშმარიტი ქართველი ქალბატონი ბრძანდებოდა, რომელსაც ვერავინ გაეჯიბრებოდა მამა-პაპური ტრადიციების დაცვაში. სტუმრობაც საუკეთესო იცოდა და მასპინძლობაც. გარს ერტყა მეგობართა დიდი წრე. სტუდენტობისდროინდელ რამდენიმე ქალბატონთან სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა ახლო მეგობრობას.

მან იცოდა სიმართლის უძლეველობა და სიტყვის ფასი. მისგან ნებისმიერი ადამიანი ისწავლიდა, როგორ უნდა ჰყვარებოდა ბიძაშვილები, დეიდაშვილები,

2004 წლიდან ვენერა ქარენაშვილი პენსიონერია. კიდევ უფრო ახლოს გავეცანით მის მაღალ ადამიანურ ბუნებას. მე-9 ათეული ვეღარ დაამთავრა. კალამი ხელიდან გაურბოდა, მაგრამ მაინც მოახერხა თავის მემუარებში საბოლოო სიტყვების ჩაწერა: „ჩემო სიხარულებო, ყველას გეუბნებით, არაფერზე არ იდარდოთ, იფიქრეთ ბედნიერ მომავალზე, ჯანმრთელობასა და კარგ ცხოვრებაზე„.

ვენერა, შენ ის სენი გჭირდა, რომელსაც მთელი მსოფლიო ებრძვის და ვერ ამარცხებს. გული არ დაგწყდეს. იძინე მშვიდად, შენთვის დაღვრილი თითოეული ცრემლი წმინდა სანთლად გადაიქცევა და გზას გაგინათებს. ეს ღრმად გვჯერა ყველას, ვინც შენ დაგტირის, გვჯერა ისიც, რომ ყვარლის მთები შენს გვარსა და სახელს გულზე დაიწერენ.

მსუბუქი იყოს შენთვის ყვარლის მიწა, ვალმოხდილო და ამაგდარო ქალბატონო!

**მეგობრები**

„ქინძმარაულის“ ღვინის ქარხნის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან ქეთევან მზექალაშვილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს და ახლობლებს.

---

მეუღლე ნუნუ სუხიტაშვილი, შვილები: მარიამი, აკაკი, და ლიანა, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გივი აკაკის ძე გელბახიანი

# საქართველოში ფეიხოას ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავალმა რეკორდი მოხსნა – როგორია პროდუქტის პერსპექტივები

2020 წელს საქართველოდან ფეიხოას ექსპორტი მკვეთრად გაიზარდა. მეტიც, ასტ ფრუიტ-ის ანალიტიკოსების ინფორმაციით, პროდუქტიდან მიღებულმა შემოსავალმა რეკორდი მოხსნა. კერძოდ, გასულ წელს, წინა წელთან შედარებით ფეიხოას ექსპორტი 37%-ით გაიზარდა და 449 ტონას (350 ათას აშშ დოლარი) მიაღწია.

ამასთან, საქართველოსთვის გაყიდვების მთავარ ბაზრად კვლავ უკრაინა რჩება, სადაც ექსპორტი 14%-ით გაიზარდა და საბოლოო ჯამში, პროდუქტის 60% გავიდა.

ამავდროულად, ფეიხოას ექსპორტი ყველაზე მნიშვნელოვნად რუსეთში გაიზარდა, რომელიც ამ ეგზოტიკურ ხილს საქართველოსგან ფაქტობრივად, არ ყიდულობდა. 2020 წელს კი ქართული ფეიხოას გაყიდვების ბაზრებს შორის რუსეთმა მეორე ადგილი დაიკავა. მან 109 ტონა შეიძინა. ამრიგად, საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში ფეიხოას მარაგების მოცულობა წელიწადში თითქმის, 9-ჯერ გაიზარდა.

სამაგიეროდ, ქართული ფეიხოას ექსპორტი 2020 წელს სომხეთში 45%-ით შემცირდა, რაც კონკურენციის გაზრდის გამო მოხდა.

საქართველოში ფეიხოა ყველაზე პოპულარული სამეგრელოშია, სადაც ეს პროდუქტი თითქმის ყველა ოჯახს მოჰყავს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ზვიად ბობოყაშვილის თქმით, 2020 წელს საქართველოში ფეიხოას მოსავლის ფართობებმა 360-400 ჰექტარს მიაღწია. ამავე დროს, ფერმერები აგრძელებენ წარმოების ზრდას, რადგან ფეიხოა კარგი შემოსავლის წყაროა. ეს ხილი პოპულარულია არა მხოლოდ ექსპორტიორებში, არამედ დიდი მოთხოვნაა საქართველოს შიდა ბაზარზეც.

ექსპერტების აზრით, თუ საქართველოში ფეიხოას მოსავლიანობის გაუმჯობესება მოხდება, სრულიად შესაძლებელია, რომ ქვეყანამ ევროკავშირის ბაზრებიდან საკმაოდ სოლიდური თანხა მიიღოს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ფეიხოას წარმოება კომერციული მიზნებისთვის ზოგადად მსოფლიოშიც იშვიათია. მისი მთავარი მწარმოებელი და ექსპორტიორი ახალი ზელანდიაა. ასევე, ფეიხოას შედარებით მცირე რაოდენობით აწარმოებენ ავსტრიაში, აშშ-ში, სიცილიასა და პორტუგალიაში.

ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ფეიხოაზე განსაკუთრეული მოთხოვნა ევროპასა და შეერთებულ შტატებშია. ამიტომ, სასურველი იქნება, რომ ქართველი ფერმერები უფრო სერიოზულად მოეკიდონ ამ კულტურის მოყვანას. მათი თქმით, წარმოების ზრდით, შემნახავი, გაგრილებისა და გადამამუშავებელი სისტემების მოწყობით, შესაძლოა, ფეიხოა საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული საექსპორტო პროდუქტი გახდეს.

ფეიხოა არის სუბტროპიკული კულტურა, რომელიც უფრო მეტადაა ადაპტირებული საქართველოს კლიმატურ პირობებთან, ვიდრე ციტრუსები. მას შედარებით ხანგრძლივი ზრდა ახასიათებს. კერძოდ, მწვანდება 4-5-ე წელს, ხოლო ნაყოფს იძლევა 8-10 წელში. ბუჩქის საშუალო მოსავლიანობა 15-18 კგ-ს შეადგენს. თუმცა, არსებობს ჯიშები, რომელიც 22-30 კგ მოსავალსაც იძლევა. ერთ ჰექტარზე საშულო მოსავლიანობა კი 15-20 ტონას შეადგენს.

ფეიხოა შედარებით ნაკლებ მგრძნობიარეა მავნებლების მიმართ. შესაბამისად, სრულიად შესაძლებელია მისი ბიო წარმოებაც.

აღნიშნული კულტურა მდიდარია ვიტამინებით და შეიცავს დიდი რაოდენობით იოდს, რის გამოც ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა. ფეიხოას ასევე იყენებენ, მურაბების, კომპოტების, ლიმონათის და სხვა პროდუქტების დასამზადებლად.

რაც შეეხება თავად მცენარეს, ყვავილობისა და ღამაზი ფოთლების გამო ხშირად გამოიყენება დეკორატიული მიზნებისთვისაც.

**ნინი ქეთელაური**

# ლობიო, ლობიოს მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია

საქართველოში ლობიო ერთ-ერთი ტრადიციული და ფართოდ გავრცელებული კულტურაა, რომელსაც ჩვენ სამზარეულოში ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მას იყენებენ როგორც ნედლი პარკის, ისე მწიფე მარცვლის სახით. ამასთან ლობიოს მწვანე პარკი ფართოდ გამოიყენება საკონსერვო მრეწველობაშიც.

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი რაჭა-ლეჩხუმში, ლობიო (კუტი) მოჰყავთ როგორც წმინდა ნათესების სახით, ისე სიმინდში შერეული ან შპალერზე (სარის), რის საშუალებასაც იძლევა ჩვენში არსებული ამ სახეობის უამრავი ფორმა, ჯიში და პოპულაცია, რომელთაგან არის მინდვრის ე. წ. „კუტი“ ფორმებიც და ძლიერ მხვიარა ანუ „სარის ლობიოებიც“.

ამ უკანასკნელის მაღალი სამეურნეო მაჩვენებლების მქონე მრავალი ჯიში და ჰიბრიდი (მატილდა, დონნა, ნაგანო, პალომა და ა.შ.) უკანასკნელ წლებში გამოჩნდა ჩვენ ბაზარზე. ადგილობრივი ჯიშებიდან კი აღსანიშნავია მინდვრის წითელი, ხეთაგუროვის 4, ადგილობრივი წითელი, ლიახვი, ჩიტისკვერცხა, ადგილობრივი წითლადჭრელი, მუხრანულა, ბერბუკულა, ცანავა, შულავრული, ბათუმურა, ქონა და სხვა მრავალი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სიმინდში შერეული ლობიო თესვისას ინტენსიფიკაციას ძნელად ექვემდებარება და ორივე კულტურის მოსავლიანობა, როგორც წესი, საკმაოდ დაბალია.

ლობიო მოჰყავთ როგორც ძირითადი საგაზაფხულო კულტურა. თესლბრუნვაში მის კარგ წინამორბედად სიმინდი ითვლება. საქართველოს წინამთიანეთში (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი და ა.შ.)

ლობიოსათვის უნდა შეირჩეს სარეველებისაგან და წინამორბედი კულტურის ნარჩენებისაგან კარგად გაწმენდილი ნაკვეთი, სადაც ნიადაგი (ეროზიის საშიშროება უნდა იყოს გამორიცხული) გვიან შემოდგომით ან ზამთარში 22-25 სმ სიღრმეზე მოიხვნება. ხოლო იქ სადაც ქარული ან წყლისმიერი ეროზიაა გავრცელებული, აუცილებელია, მფარავი კულტურის (მთლიანი მოთესვის საშემოდგომო კულტურა – ხორბალი ან ქერი ან სხვა, გაზაფხულზე გადახვნითა და ძირითადი კულტურის თესვით) ან ეროზიის საწინააღმდეგო სხვა ღონისძიების გამოყენება.

ეწერი ნიადაგების ნაყოფიერების ასამაღლებლად კი საჭიროა 8-10 წელიწადში ერთხელ ნიადაგის ღრმად – 30-35 სმ-ზე დამუშავება კირშემცველი (დეფეკაციური ტალახი დოლომიტი ან სხვა) სასუქების 8-10 ტ/ჰა შეტანით. გაზაფხულზე თესვის წინა კულტივაციის შემდეგ ის ითესება მაშინ, როდესაც ნიადაგის ტემპერატურა თესლის ჩათესვის სიღრმეზე (4-6სმ) 12-14°C-ს მიაღწევს. რაჭაში ლობიოს თესვის ოპტიმალური პერიოდი 15-20 აპრილიდან 5-10 მაისამდეა. ერთ ჰა-ზე 250-300 ათასი გაღივების უნარის მქონე მარცვალი უნდა დაითესოს.

რაც მსხვილმარცვლიანი ჯიშებისათვის 95-130 კგ-ა, საშუალო მარცვლიანი 80 – 90 კგ, ხოლო წვრილმარცვლიანი კი 60 – 70 კგ. ლობიოს დასათესად იყენებენ ბოსტნეულის ან სიმინდის სათეს მანქანებს, მცირე კონტურიან ნაკვეთებში კი გამოყენებულია ხელით დაბუდნა. თესვის წესად რეკომენდებულია მწკრივულად თესვა; მწკრივებ შორის მანძილი 45-60 სმ. – ა. ქარების მავნე მოქმედების ასაცილებლად ლობიოს 4-6 მწკრივის შემდეგ რეკომენდებულია 2 მწკრივი სიმინდის კულისების თესვა.

შპალერს კი იყენებენ ძირითადად მწვანე ლობიოს მისაღებად, რისთვისაც 240 სმ სიმაღლის ბოძზე აჭედებენ პერპენდიკულიარულ 45 სმ-იანი თამასას, ლათინური T-ს მსგავსად. ასეთი ფორმის ბოძები რიგში 6-7 მ-ს მოშორებით უნდა დადგეს. რიგები ერთმანეთისაგან 1. 2-2. 5 მ. ს მოშორებით დგება. თითოეულ ბოძზე ჰორიზონტალური თამასას ბოლოში ორი მავთული იჭიმება, რომელიდანაც ყოველ მცენარესთან ეშვება კანაფი, რომელზედაც მცენარე ეხვევა. ასე, რომ ყველა ერთ რიგ თ-სებრ ბოძზე ორი 45 სმ-ით დაშორებული ლობიოს რიგი მიიღება, რომელიც თავის მხრივ 90-110 სანტიმეტრითაა ერთმანეთისაგან დაშორებული. რა თქმა უნდა, შესაძლებელია სხვა კონსტრუქციის შპალერის ანდა სარის (ფორჩხის) გამოყენებაც.

ლობიოს ნათესი აღმოცენებამდე მსუბუქი ფარცხით უნდა დაიფარცხოს. ხოლო რიგების შეკვრამდე კი, საჭიროა ჩატარდეს კულტივაცია და თოხნა. სარწყავ ნაკვეთებში კარგია 2-3-ჯერ რწყვა, ამინდის პირობების გათვალისწინებით.

ლობიო აღებული უნდა იქნას მაშინ, როდესაც მცენარეზე პარკების 80-85% მომწიფდება. კარგად გამომშრალი მარცვალი მშრალ და დეზინფიცირებულ საწყობებში უნდა შევინახოთ.

ნიადაგის ძირითადი დამუშავების დროს, მისი აგროქიმიური ანალიზით მიღებული მონაცემების მიხედვით, უმჯობესია შევიტანოთ მინერალური სასუქებიდან ფოსფორი და კალიუმი. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ეს შეუძლებელია, მაშინ საორიენტაციო დოზაა 60-80 C 65-90. მცდარია ის მოსაზრება, რომ ლობიო და საერთოდ პარკოსნები აზოტოვან სასუქების შეტანას არ საჭიროებენ, ვინაიდან N-ს ფიქსაცია მის ფესვებზე კოჟრის ბაქტერიების მიერ ხდება. მაგრამ კოჟრებში ფიქსირებულ აზოტს თვითონ ის მცენარე ვერ იყენებს და მისი გამოყენება ხდება მისი სიკვდილის შემდეგ შემდგომი კულტურის მიერ. ამდენად აუცილებელია, ნიადაგში ძირითადი ხვნის ან თესვის წინ დამუშავებისას 30-40 კგ აზოტი მაინც შევიდეს.

ერთწლიანი ორლებნიანი და მარცვლოვანი სარეველების: ბურჩხა, თივაქასრა, ჩიტიფეტვა, ძურწა, ჯიჯილაყა, საპონელა, ორკბილა, ველური კომბოსტო, წიწმატურა, ნაცარქათამა, ქრიზანთემა, ლემა, ნემსიწვერა, გვირილა, ჰელიოტროპი, ძიძო, მატიტელა, დანდური, თავყვითელა, მინდვრის მდოგვი სპერგულა, ჟუნჟრუკი, სამყურა, ჭინჭარი, ბირკა და სხვების წინააღმდეგ ლობიოს ანდა ლობიოსა და სიმინდის ნათესებში გამოიყენება გეზაგარდი 3 კგ/ჰა კულტურების აღმოცენებამდე 2-3 დღით ადრე.

აუცილებელია, გათვალისწინებული იქნეს, რომ გეზაგარდის გამოყენების შემდეგ რიგთშორისების კულტივაცია/თოხნა მნიშვნელოვნად ამცირებს ჰერბიციდის ეფექტურობას. ვეგეტაციის პერიოდში, ერთწლიანი მარცვლოვანი სარეველების წინააღმდეგ შეიძლება გამოვიყენოთ ფუზილად ფორტეს ეკ-ს 0. 75-1 ლ/ჰა, სარეველების 2-4 ფოთლის ფაზაში, მიუხედავად კულტურის განვითარების ფაზისა.

ფესვის სიდამპლეების (ფუზარიოზი, რიზოქტონიოზი, ანთრაქნოზი) წინააღმდეგ, განსაკუთრებით იქ, სადაც გაზაფხულზე ნიადაგი ჭარბი ტენიანობით ხასიათდება, აუცილებელია, თესლი შეიწამლოს ინდაზოლის ან ფინალის 1-1. 5 კგ გაიხსნება 5-10 ლიტრ წყალში და დამუშავდება 1 ტ. ლობიოს თესლი. ამ მიზეზით ჭარბტენიან ნიადაგებზე ლობიოს მოყვანა ძალზე გართულებულია.

ლობიოს თესვის წინ ან უშუალოდ თესვისას იქ, სადაც ნიადაგის მავნებლები მომღრღნელი ხვატარები, ან მავთულა ჭიები, ან ღრაჭები, ან მახრა იქნება შენიშნული, აუცილებლია, გრანულირებული მარშალ 5 გ შეტანა 35-40 კგ/ჰა ნორმით.

ანთრაქნოზის ან ასკოქიტოზის გამოჩენისას აუცილებელია ნათესების, განსაკუთრებით კი მწვანედ ასაღები მცენარეების, 1% ბორდოს სითხით ან სხვა რომელიმე სპილენძის შემცველი პრეპარატის შესხურება, ხოლო ჟანგას გამოჩენისას 0.02%-იანი ბაილეტონით ან 0.25%-იანი ფოლიკურის ან იმპაქტის დაუყოვნებელი (გამოჩენისთანავე) შესხურება, ვინაიდან ოდნავი დაგვიანების შემთხვევაშიც კი ნათესი მთლიანად იღუპება.

რაჭა-ლეჩხუმსა და საერთოდ წინა მთიანეთში საკმაოდ სერიოზული მავნეობა შეუძლია მოიტანოს ლობიოს მემარცვლიას, რომელიც შეიძლება გავრცელდეს 600-650 მეტრზე ზღვის დონიდან. იგი ძირითადად მრავლდება საკუჭნაოებში და სამზარეულოებში ლობიოს შენახვისას. მისი აღმოჩენისთანავე ლობიო ან უნდა განადგურდეს (დაიწვას ან ღრმად ჩაიმარხოს) ან ცეცხლზე მოიხალოს მავნებლის მოსასპობად, ხოლო ლობიო საერთოდ უნდა შენახული იქნას ნაცარში ჩაყრილი, მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში – რადგან ასეთ პირობებში ხოჭოს აქტივობა ძალზე იზღუდება.

მინდორში კი, ლობიოს ქვედა იარუსის პარკების მომწიფების დაწყებისას აუცილებელია, მცენარეების 0.05%-იანი რომელიმე სინთეზური პირეტროიდით (შერპა, არივო, დეცისი და ა.შ.) ან 0.05 კგ/ჰა კონფიდორ მაქსით, ან 3 ლ/ჰა ზოლონით ან 0.4 ლ/ჰა კარატეს შესხურება. ინსექტიციდებით დამუშავებული ლობიოს მწვანედ გამოყენება არ შეიძლება.

**გ. გოდერძიშვილი,**
**გ. გაბრიშვილი**

# გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი



## ... ზედმიწევნით კაცთმოყვარე, გულთბილი, უანგარო და ერთგული მეგობარი იყო

ცხოვრებაში დგება ხოლმე მომენტი, როცა წარმოუდგენლად გიმძიმს კალმის ხელში აღება და აზრების თავმოყრა. სწორედ ეს მომენტია ახლა, როცა მუხანათმა წუთისოფელმა კიდევ ერთი უმძიმესი დარტყმა მოგვაყენა და უდროოდ შეწყვიტა შესანიშნავი პიროვნების, უღალატო მეგობრის, სიკეთითა და მოყვასის სიყვარულით აღსავსე ვაჟკაცის გივი გელბახიანის სიცოცხლე.

დაუჯერებელი და თავზარდამცემი იყო ცნობა მისი ტრაგიკული დაღუპვის შესახებ. სხვაგვარად ვერ გაიაზრებ ყოველივე იმას, რაც მოხდა. ისეთ მომენტში და ისეთ ადგილზე უმტყუნა გულმა, რომ ირგვლივ სულიერი არავინ ჭაჭანებდა, დახმარების ხელი რომ გაეწოდებინა. ანდა, რამ წაიყვანა მაშინ, დაღამების ჟამს, ვენახში, მართლაც აუხსნელია... საბედისწერო მომენტების ფატალურმა თანადამთხვევამ უდროოდ და მოულოდნელად შეიწირა მისი სიცოცხლე, წერტილი დაუსვა მის დაუდეგარ, შრომითა და გარჯით გაჯერებულ ცხოვრებას.

არადა, ყველას კარგად გვახსოვს, რომ წლების წინ მან უკვე გაიარა ბეწვის ხიდზე, როცა ძნელად წარმოსადგენი ხიფათისგან იხსნა თავი და ურთულეს მდგომარეობაში შეინარჩუნა სიცოცხლე. მაშინ იგი გამარჯვებული გამოვიდა სიკვდილთან უთანასწორო ბრძოლაში. ამჯერად კი, საუბედუროდ, ყველაფერი ფატალურად დასრულდა... ულმობელი წუთისოფლის განაჩენი არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება!

ამ სამყაროში ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, მათ შორის ადამიანის სიცოცხლესაც, მაგრამ კაცის მიერ განვლილი გზის საზომი შინაარსიანად და ვაჟკაცურად განვლილი ცხოვრებაა, იმ ვალის პირნათლად აღსრულება, რაც ადამიანს აკისრია ამქვეყნად.

გივი გელბახიანი ზედმიწევნით კაცთმოყვარე, გულთბილი, უანგარო და ერთგული მეგობარი იყო. სადაც კი მოღვაწეობდა, ყველგან პატივისცემას, სიყვარულს და სითბოს ამკვიდრებდა. იყო სიკეთის მთესველი ადამიანის ნიმუში, საიმედო მეგობარი ჭირსა თუ ლხინში. სწორედ ამიტომ მის მიერ დატოვებული „კვალი ნათელი“ სამუდამოდ დარჩება ყველას მეხსიერებაში, ვინც იცნობდა ამ ჭეშმარიტად ღირსეულ პიროვნებას.

მარადიულ საუფლოში წავიდა კაცი, რომელიც თავისი ვაჟკაცური თვისებების გამო ყველას უსაზღვროდ უყვარდა. უმძიმესია და აუწონავი დანაკლისი, რაც ყველამ, მთელმა ყვარელმა (და არა მარტო ყვარელმა) განვიცადეთ მისი დაკარგვით. მოუშუშებელი და შეუფსებელია ტკივილი, რომელიც ვერც სიტყვით გამოითქმის და ვერც ვერავითარი საზომით გაიზომება. მარადისობის უკიდეგანო სივრცეში გადაინაცვლა მისმა სულმა და სხეულმა, წავიდა იდუმალებით მოცულ იმ სამყაროში, სადაც ადრე წასული კარგი ვაჟკაცები დახვდებიან, პირველ რიგში კი მისი განუყრელი მეგობარი ავთანდილ სიმონიჩი – „ოჩი ჩორნიე“... დღემდე წარუშლელია ჩვენს ხსოვნაში გივის მიერ გაწეული სამაგალითო თამადობა „სიმონიჩის“ ჭირის სუფრაზე და მის მიერ ერთ-ერთი სადღეგრძელოს წარმოთქმისას ექსპრომტად, ავთოს სტილში ნამღერი „სანტა ლუჩია“, ძალიან ბევრს ცრემლები რომ მოჰგვარა თვალებში. ამიერიდან ისინი კვლავ ერთად არიან, ოღონდ იმ სამყაროში, ღმერთთან ახლოს!

ვემშვიდობებით გივი გელბახიანს და მადლობას ვუხდით იმ მეგობრობისათვის, რისი ფასიც მან ნამდვილად იცოდა. კაცურად იცხოვრა ამ ქვეყანაზე, კაცურად გაიარა ამ წუთისოფლის ნარ-ეკლიანი გზა და დატოვა კარგი ვაჟკაცის შეუბღალავი სახელი!

ამის შემდეგ მის შესახებ მხოლოდ წარსულ დროში მოგვიწევს საუბარი და მისი განუმეორებელი სიკეთით აღსავსე ხატება სიზმრად თუ მოგვევლინება – ასეთი ყოფილა წუთისოფლის დაუნერელი კანონი, გვემახსოვრება და ყოველთვის მოვიგონებთ ტკივილიანი მოგონებებით!

სიმშვიდე და მყუდროება ნუ მოკლებოდეს მის სამარადისო განსასვენებელს და უფალს შევთხოვთ, რომ ნათელში ამყოფოს ზეციურ სამყაროში გარდასული მისი ვაჟკაცური სული.

**ალიმან ლაფაჩიშვილი, ალექსანდრე გიგილოშვილი, ვიტალი მირინაშვილი, ლევან სარქისოვი, იროდი ზაუტაშვილი, ტარიელ გრატიაშვილი, მიხეილ ბაღათრიშვილი, ლევან კოკორაშვილი, ზაურ ცუკილაშვილი, ალიკა ბუჯიაშვილი, თამაზ ბუჯიაშვილი, ვახტანგ სარქისოვი, ლერი ბუჯიაშვილი**

## ღანძილი – გაზაფხულის პირველი მახარობელი

გაზაფხულის დადგომისთანავე ტყეში ჩნდება პირველი საკვები მცენარე, ღანძილი, რომელიც შროშანისებრთა ოჯახს მიეკუთვნება. იგი გავრცელებულია კავკასიაში, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, ჩრდილო ამერიკაში, აზიაში – ჰიმალაის მხარეში, ურალის მთებზე, ციმბირის რეგიონში და როგორც სამხრეთ-დასავლეთ, ასევე ცენტრალურ ევროპაშიც. ბოლქვიანი მცენარის პირველი ფოთლები ჩვენთან ჩნდება უკვე თებერვლიდან, მთის ღანძილი კი შედარებით გვიან შემოდის.

ისტორიული წყაროების მიხედვით, ღანძილი ცნობილი იყო ჯერ კიდევ ნეოლითის ეპოქიდან, დაახლოებით 5000 წლის წინ. ამ საოცარ მცენარეს იცნობდნენ რომაელები, კელტები და გერმანელები. ზოგიერთი ლეგენდის მიხედვით, გერმანელებმა მას დათვის ხახვი უწოდეს, ვინაიდან ზამთრის ძილისაგან გამოსული დათვები სწორედ ღანძილის ჭამით აღიდგენდნენ ძალას.

შუა საუკუნეებში, იმპერატორ კარლოს დიდის ბრძანებით ღანძილი შეიტანეს მისი ცნობილი განკარგულების, „ჩაპიტულარე დე ვილლის ველ ცურტის იმპერიი“ სიაში, რის წყალობითაც მცენარე სულ მალე გავრცელდა საიმპერატორო ბაღებში. სამონასტრო ბაღებში კი, აღმგზნები თვისებებიდან გამომდინარე, ვერ მოიპოვა პოპულარობა. იმ პერიოდში ღანძილისა და ნივრის სუნს უწმინდურად თვლიდნენ და ეშმაკეულად მიიჩნევდნენ. სწორედ ამიტომ, კულტივირებული ღანძილი თანდათან იქცა ისევ ველურ მცენარედ.

ღანძილს გააჩნია მრავალი სამკურნალო თვისება. იგი შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინ C-ს, აგრეთვე ეთერზეთებს, ფიტონოციდებს. დადებით ზეგავლენას ახდენს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობაზე, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, აქვეითებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, აქვს ანტიმიკრობული თვისებები.

ციმბირში კარგა ხანია უკვე აგარაკებსა და კერძო ნაკვეთებზე მოჰყავთ ღანძილი, რომელიც ციმბირელებს ყოველთვის იცავდა ვიტამინ C-ს დეფიციტით გამოწვეული დაავადების, ცინგასაგან, რაც ჩრდილოეთის ქვეყნებში იყო გავრცელებული. გერმანიაში, ქალაქ ებერბახში, რომელსაც ღანძილის დედაქალაქსაც უწოდებენ, ყოველწლიურად ტარდება „ებერბახის ღანძილის ფესტივალი“. გერმანელები, გარდა სხვა კერძებისა, ღანძილის დამატებით პურსაც აცხობენ.

კულინარიაში ღანძილი გამოიყენება როგორც უმი სახით, ასევე დამარილებული, მარინადში და მოხარშული. უმი ღანძილის ნორჩ ფოთლებს უმატებენ საგაზაფხულო სალათებს. ეს მცენარე პოპულარობით სარგებლობს კავკასიის ხალხთა სამზარეულოში. ჩეჩნეთში ღანძილის მომზადების ბევრი რეცეპტი არსებობს: მას

ამზადებენ ჭინჭართან და მოხარშულ კვერცხთან ერთად, მიირთმევენ გარნირად შემწვარ ქათამთან, უმატებენ პამიდვრის პიურეს და სხვა.

მე-20 საუკუნის ბოლოს, როცა ცნობილი გახდა, რომ ვიტამინი C-ს რაოდენობა გაცილებით მეტია ღანძილში, ვიდრე ლიმონისა და ფორთოხლის ნაყოფში, ამ უძველეს სამკურნალო მცენარეს უფრო ყურადღებით მიხედეს მზარეულებმა და შეიქმნა მრავალი ექსპერიმენტი ახალი კერძების სახით. ღანძილი შედის წვნიანების შემადგენლობაში, ზოგიერთ რეცეპტში გვხვდება ხორცის ფარშთან და ბოსტნეულთან ერთად კატლეტსა და ტოლმის სახეობებში, ომლეტის სახით, ღვეზელის გულსართად, შემწვარი ხორცის გარნირად და სხვა. ხაჭოსა და ღანძილის ნორჩი ფოთლებით ამზადებენ მაჭკატებსაც.

შორეული ბავშვობიდან მახსოვს ღანძილის მომზადების მთელი რიტუალი, რომელიც ჩვენს ოჯახში თებერვლის მეორე ნახევრიდან იწყებოდა. ჩემი თელაველი ბებია ტრადიციულად ყოველ ადრე გაზაფხულზე ამზადებდა ბლომად ღანძილს. საგულდაგულოდ არჩევდა (ამ საქმეს არავის ანდობდა!), ხარშავდა და ნაწილს აკონსერვებდა კიდეც. ნათესავებისთვისაც კი ჰქონდა გადანახული და ყოველ ქილას თავისი სახელი ერქვა. როგორც თავად ამბობს, ადრე ღანძილი გროზნოდანაც ჩამოჰქონდათ გასაყიდად, მაგრამ ადრეც და ახლაც კახეთში განსაკუთრებულად გომბორის ღანძილი ფასობს. არჩევისას ნედლ ყლორტებს ენიჭება უპირატესობა. ღანძილს თუ უკვე დიდი ფოთლები აქვს, ევროპული სამზარეულოსგან განსხვავებით ჩვენში საკვებად არ გამოიყენება უხეში სტრუქტურის გამო.

ღანძილი მოხარშვისას საკმაოდ უსიამოვნო სუნს აყენებს და ბევრი დიასახლისი ამჯობინებს უკვე მოხარშული ღანძილი შეიძინოს, თუმცა შინ მომზადებულს მაინც სხვა ლაზათი აქვას. მზა ღანძილს ხშირად ხარშვა აკლია ანდა იმდენი ძმარი ასხია, ახლოს ვერ გაეკარები. ამიტომ, ჯობს, მაინც შინ მომზადდეს საუკეთესო შედეგის მისაღებად. ღანძილი მაშინ არის მზად, როდესაც ხელით ადვილად ისრისება. მისი მომზადების სულ ორი-სამი რეცეპტი თუ არსებობს, რომელთა შორის ყველაზე პოპულარულია უბრალოდ, ძმრითა და მზესუმზირის ზეთით შეზავებული ვარიანტი.

კახეთში გავრცელებული მეთოდით, ღანძილი ჯერ კარგად ირეცხება, შემდეგ მდუღარე წყალში იყრება, იხარშება დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში, რამდენჯერმე ევლება ცივი წყალში, გუნდებად იწურება და შემდეგ ემატება ძმარი და ზეთი. სანელებლებად გამოიყენება პილპილი და მარილი, ასევე აუცილებელია ახალი ქინძი. მოხარშული ღანძილის შენახვა თავისუფლად შეიძლება 3-4 დღის განმავლობაში თუ ცივ წყალში მოვათავსებთ და დილა-საღამოს წყალს გამოვუცვლით.

ბებიასეული რეცეპტებიდან შემიძლია გავიხსენო ღანძილის მობრაწულა – მოხარშულ ღანძილს მოათავსებენ საცხობ ფორმაში, მოაყრიან მარილს, პილპილს და მოასხამენ კვერცხს. აცხობენ ღუმელში.

ღანძილის მომზადების წესები აღწერილია წიგნში „საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“. აქ მოხარშული ღანძილი შესანელებლად ქინძთან, ზეთთან, ძმარსა და სხვა ზემოთ ჩამოთვლილ ინგრედიენტთან ერთად პიტნა და ქონდარიც არის ნახსენები. ღანძილის მომზადების ბარბარე ჯორჯაძისეული ვარიანტით ღანძილი მოხარშვის შემდეგ სამი საათი უნდა გაჩერდეს ცივ წყალში და მერე ამოიწუროს. ამ რეცეპტში მწვანილი არ არის ნახსენები – მხოლოდ ძმარი და მარილი და ზეთიც სურვილისამებრ შეიძლება დაემატოს მოხარშულ ღანძილს.

რაც შეეხება კვერცხიან ვერსიას – მსგავს რეცეპტს ჰერელი ქალბატონი აღწერს: „ღანძილს“ ჰკრეფენ იანვარ-თებერვალში და, ვისაც უნდა, მარტის გასვლამდე ორმოში ინახავენ, ოღონდ ორმოში, სადაც ღანძილი იყო ამოსული, იმ ადგილის ჩამპალფოთლიანი მიწა უნდა ჩააყოლონ ხოლმე. ბევრი ჰყიდის კიდევაც. ღანძილს სხვადასხვაგვარად აკეთებენ: ხარშავენ, სწურავენ და ხახვით, კვერცხით და ქონით ხალავენ, ძალიან გემრიელი საჭმელია ხოლმე, ან ჰხარშავენ და დაწურვის შემდეგ აყრიან პილპილის, მარილს და თუთუბოს“.

ამ ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ ჰერეთში მარხვის დროს ღანძილის შეჭამანდსაც ამზადებდნენ – ბლომად წყალში ხარშავდნენ ბრინჯს, ურევდნენ მოხარშულ ღანძილს, მარილს, პილპილს, სიმჟავეს და ისე მიირთმევდნენ. ღანძილს ამზადებდნენ თუშეთშიც, ამ მცენარეს თუშები უფუარი ცომით მომზადებულ კვერებში იყენებდნენ.

**ქეთი ადეიშვილი**
vinoge. com

## ღრძილების მკურნალობა ხალხური მეთოდებით

იმისთვის, რომ ჯანმრთელი ღრძილები გვქონდეს, აუცილებელია სწორი, ჯანსაღი კვება. ჩვენი კვების რაციონში ახალი ხილი, ბოსტნეული, ხორცი და სხვა ნატურალური პროდუქტები უნდა შედიოდეს.

თუმცა საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილის საოჯახო ბიუჯეტი, მრავალფეროვანი კვების შესაძლებლობას არ იძლევა, შესაბამისად სახეზეა მრავალი დაავადება, მათ შორის ღრძილების ანთება (გინგივიტი, პაროდონტიტი).

ღრძილებისთვის სასარგებლო პროდუქტები:

ციტრუსოვნები – მათში მაღალია C ვიტამინის შემცველობა, რომელიც გამაჯანსაღებლად მოქმედებს ღრძილების ლოროწოვან გარსზე;

მწვანილი და რძის პროდუქტები – მათში შემავალი ვიტამინი K სისხლდენას ამცირებს;

თევზი და ზღვის სხვა პროდუქტები – დიდი რაოდენობით შეიცავენ ფოსფორს, რომელსაც მაღალი ეფექტი აქვს პაროდონტიტის დროს;

ნიორი და ხახვი – მათ შემადგენლობაშია დიდი რაოდენობით თუთია, ძლიერი ანტიოქსიდანტი და ანთების საწინააღმდეგო მინერალია;

კაკლოვნები – დიდი რაოდენობით უბიქინონი ( ვიტამინი), ხელს უშლის კენჭების ჩამოყალიბებას და ანთებით პროცესებს;

ყველი – კალციუმის წყარო, აჯანსაღებს კბილებს და ღრძილებს;

წითელი ღვინო – შეიცავს ანტიოქსიდანტებს და ტანინს, რომლებიც ანთების საწინააღმდეგო თვისებით ხასიათდებიან.

# პური, რომელიც ჩვენი ჯანმრთელობისთვის აუცილებელია

პური, ადამიანების უმრავლესობის ყოველდღიური რაციონის განუყოფელი ნაწილია. ბოლო დროს, ქართულ ბაზარზე, არაერთი ახალი სახეობის პური გამოჩნდა, ასორტიმენტი კი თანდათან უფრო იზრდება. რომელი პურის არჩევა და მოხმარება ჯობს და რა როლს თამაშობს პურის სარგებლიანობაში მისი დამზადების ტექნოლოგია, იშვიათად თუ აინტერესებს ვინმეს. არადა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც პირდაპირ კავშირშია ჩვენს ჯანმრთელობასთან.

პურის სარგებლიანობის განსაზღვრისათვის, მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი. მათ შორის, მომზადების ტექნოლოგია, ასევე, როგორ მუშავდება ხორბალი. ხორბალი უნიკალური პროდუქტია, მაგრამ ხშირად არასწორად ამუშავებენ მის გარსს, რის გამოც იკარგება უნიკალური ვიტამინები, მიკრო და მაკროელემენტები და რჩება მხოლოდ გლუტენი და სახამებელი. რომელიც არაა სასარგებლო.

გარდა იმისა, რომ თეთრი პური მაღალკალორიულია, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს არის ე. წ. „ფუჭი კალორიები“, ვიტამინების, მიკრო და მაკროელემენტების გარეშე. ასეთი პური არც ისე ჯანსაღია. მისი რეგულარული მოხმარება ზრდის შაქრიანი დიაბეტით დაავადების რისკებს. ხდება ქოლესტერინის დონის და ცხიმოვანი ქსოვილის მომატება, რის შედეგადაც ადამიანი იმატებს წონაში, მაგრამ არა კუნთოვანი მასის, არამედ ცხიმოვანი ქსოვილის მასის ზრდის ხარჯზე. გარდა ამისა პრობლემები ექმნება კუჭ-ნაწლავს, ხდება ნაწლავური მიკროფლორის გაღარიბება, ორგანიზმს ექმნება პრობლემები საჭმლის მონელებასთან დაკავშირებით, რაც აისახებაზოგადად ჯანმრთელობაზე. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. დღეს მთავარ პრობლემას მაინც საფუარიანი პური წარმოადგენს. ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ მაღაზიაში ნაყიდ პურს ძალიან მალე უჩნდება ობი, კარგავს სუნს და გემოს. საქმე იმაშია, რომ ბევრი პურის მცხობელი ქარხანა ხმარობს სპეციალურ საფუარს, რომლის წყალობითაც ცომი მალე ფუვდება, შესაბამისად მცირდება მისი წარმოების დრო. აღმოჩნდა, რომ თერმოფილური საფუარი, რომელიც ახლა იხმარება პურის ცხობის საწარმოებში, მოქმედებს პურის ხარისხზე და ზიანს აყენებს ჩვენს ჯანმრთელობას. ამ საფუარის ზემოქმედებით ცომი ამოდის ერთ საათში, როცა ძველებური ცხობისას ცომს რომ ზელდნენ, მთელი ღამე უნდებოდა ამოსვლას. საინტერესოა, რამდენად საშიშია ის ორგანიზმისთვის?

როგორც დასტურდება, საფუარის პურის მავნებლობა შეუძლებელია დაინახო, ამიტომ ძნელია ამის დაჯერება. სამგაიეროდ შეგრძნებები ბევრის მთქმელია.

„პური – ღვთის მადლი“– ასე ამბობდნენ ჩვენი წინაპრები. მაგრამ ისინი არ აცხობდნენ პურს თერმოფილურ საფუარზე, როგორც დღესაა მიღებული. ცნობილ გლეხურ „დედა საფუარს“ ამზადებდნენ ჭვავის ფქვილის, ჩალის, შვრიის, ქერის და ხორლისგან. ზუსტად ასეთი „დედა საფუარები“ ამდიდრებდნენ ორგანიზმს ორგანული მჟავებით, ვიტამინებით, მინერალებით, ფერმენტებით, პექტინის ფერმენტებით, ბიოსტიმულატორებით.

მაგრამ უკვე რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში პურს სხვაგვარად აცხობენ. და ამისთვის იყენებენ არა ბუნებრივ დედას, არამედ ადამიანის მიერ გამოგონილ თერმოფილურ საფუარს, შაქრის მიცენტს. მათი მომზადების ტექნოლოგია – საშინელი, არაბუნებრივია. საცხობი საფუარის წარმოება დაფუძნებულია მათი გამრავლებით თხევად ნოყიერ გარემოში. მელასას აზავებენ წყალში, ამუშავებენ ქლორკირით, ამჟავებენ გოგირდის მჟავით და ა. შ. . უნდა ვაღიაროთ, რომ საკვები პროდუქტის მოსამზადებლად იყენებენ საკმაოდ უცნაურ მეთოდებს. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებობს ბუნებრივი საფუარი, როგორიცაა სვია, ალაო და ა. შ.

თერმოფილური საფუარი, რომელიც გამოიყენება ალკოჰოლის მრეწველობაში, ლუდის ხარშვაში და პურის ცხობაში, ბუნებაში არ გვხვდება. თერმოფილური საფუარი, სამწუხაროდ, უფრო მდგრადია, ვიდრე ქსოვილის უჯრედები. ისინი არ ნადგურდება არც საჭმლის მომზადების პროცესში, არც ნერწყვით ადამიანის ორგანიზმში.

თერმოფილური საფუარი მრავლდება ორგანიზმში გეომეტრიული პროგრესიით და ხელს უწყობს პათოგენურ მიკროფლორას აქტიურად იცხოვროს და გამრავლდეს, აბეჩავებს ნორმალურ მიკროფლორას, რომლის დამსახურებითაც ნაწლავებში სწორი კვებისას შეიძლება გამომუშავდეს B ჯგუფის ვიტამინები და აუცილებელი ამინომჟავები. უხეშად ირღვევა მომნელებელი სისტემის ყველა ორგანოს მუშაობა: კუჭის, პანკრეასის, ნაღვლის ბუშტის, ღვიძლის, ნაწლავის.

კუჭი შიგნიდან არის დაფარული ლორწოვანი გარსით, რომელიც მდგრადია მჟავების მიმართ. თუმცა, თუ ადამიანი ჭარბად მოიხმარს საფუარის პროდუქტებს და მჟავაფორმირებად საკვებს, კუჭი ვერ უწევს მას ხანგრძლივ წინააღმდეგობას. დამწვრობა გამოიწვევს წყლულების ფორმირებას, ჩნდება ტკივილი და ისეთი გავრცელებული სიმპტომი, როგორიც გულძმარვა.

თერმოფილური საფუარის საფუძველზე მომზადებული საკვები პროდუქტების გამოყენება იწვევს ქვიშის შენადენს, შემდეგ კი ქვებს ნაღვლის ბუშტში, ღვიძლში, პანკრეასში, იწვევს შეკრულობას და სიმსივნურ წარმონაქმნებს. ნაწლავებში იწყება ხრწნის პროცესები, ვითარდება პათოგენური მიკროფლორა. ნელდება ორგანიზმიდან ტოქსიკური მასების ევაკუაცია, ყალიბდება გაზის ჯიბეები, სადაც გროვდება ფეკალური ქვები.

საყურადღებოა, ფრანგი მეცნიერის, ეტიენ ვოლფის, ცდა.

37 თვის განმავლობაში მას გამოჰყავდა ავთვისებიანი სიმსივნე სინჯარაში – ხსნარში, რომელშიც იყო ფერმენტირებული საფუარის ექსტრაქტი. იმავე დროს, 16 თვის განმავლობაში ზუსტად იგივე პირობებში გამოჰყავდა ნაწლავის სიმსივნე. ექსპერიმენტისას გაირკვა, რომ ასეთ ხსნარში სიმსივნე ორმაგდებოდა და სამმაგდებოდა ერთი კვირის განმავლობაში. აქედან იყო გამოტანილი დასკვნა, რომ საფუარის ექსტრაქტი შეიცავს ნივთიერებას, რომელიც ხელს უწყობს სიმსივნური წარმონაქმნების ზრდას.

ამ მოცემულობაში, შეუძლებელია არ დავსვათ შეკითხვა. სად გაქრა მთლიანი მარცვლეული ფქვილი, რომლითაც აცხობდნენ პურს ჩვენი წინაპრები? მხოლოდ მთლიანი მარცვლეული ფქვილი შეიცავს B ჯგუფის ვიტამინებს, მიკრო – და მაკროელემენტებს და ჩანასახებს, რომელსაც აქვს ფანტასტიური სამკურნალო თვისებები. რაფინირებულ ფქვილს არ გააჩნია არ ჩანასახი, არც გარსი. ბუნებით შექმნილ სამკურნალო მარცვლეულის მაგივრად, ფქვილში ამატებენ ყველანაირ საკვებ დანამატებს, ქიმიური გზით შექმნილ შემცვლელებს, რომლებიც ვერასდროს შეასრულებენ იმას, რაც ბუნებით არის შექმნილი.

რაფინირებული ფქვილი ხდება ლორწოვანი პროდუქტი, რომელიც გუნდასავით აწვება კუჭის ძირს და აბინძურებს ჩვენს ორგანიზმს. რაფინირება – ძვირადღირებული პროცესია, რომელიც კლავს მარცვლის ცოცხალ ძალას. და საჭიროა მხოლოდ იმისთვის, რომ დიდხანს შეინაჩუნოს ფქვილის ვარგისიანობა.

ჯანმრთელი ერის აღდგენისთვის საჭიროა დავუბრუნდეთ პურის გამოცხობას ბუნებაში არსებული საფუარით, როგორიცაა სვია და ალაო. პური სვიის საფუარზე შეიცავს ყველა აუცილებელ ამინომჟავას, ნახშირწყლებს, ბოჭკოს, ვიტამინებს B1, B7, PP; მინერალურ ნივთიერებებს: ნატრიუმს, კალიუმს, ფოსფორს, რკინას, კალციუმს და ასევე მიკროელემენტებს: ოქროს, კობალტს, სპილენძს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ უნიკალური სასუნთქი ფერმენტების ფორმირებაში.

ალბათ, პურის თავთავს ტყუილად არ ეძახიან ოქროს. პური დამზადებული სვის „დედაზე“ იძლევა მაქსიმალურ წვენსადენ ეფექტს, ანუ აქტიურად გამოჰყავს ნაღვლის ბუშტიდან, პანკრეასიდან, ღვიძლიდან ფერმენტები და სხვა, მომნელებელი სისტემისთვის საჭირო ნივთიერებები, რომლებიც აუმჯობესებენ ნაწლავების მოტორიკას.

ქატო წარმოადგენს მარცვლის მყარ გარსს და ითვლება არასაჭირო პროდუქტად ფქვილის წარმოებაში. მაგრამ ზუსტად ეს მყარი გარსი შეიცავს ძალიან ბევრ სასარგებლო ნივთიერებებს, რომლებიც ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ მაღალი ხარისხის ფქვილიდან. გარდა ამისა, ქატო ახდენს მომნელებელი სისტემის ნორმალიზებას, რადგან ბოჭკოს მაღალი შემცველობა აქვს და გამოჰყავს შლაკები. და კიდევ, ქატოს შეუძლია შეკრას ორგანიზმში ქოლესტერინი, სახამებლის გახლეჩის პროცესები კი შეუცვლელია იმათთვის, ვისაც აქვს შაქრის დიაბეტი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს,ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში კლასიკური ტექნოლოგიით დამზადებული პურის მიმართ ინტერესი გაჩნდა. თბილისში ნამდვილად არსებობს რამდენიმე პურსაცხობი, სადაც ბუნებრივ საფუარზე მომზადებულ უგემრიელეს პურებს აცხობენ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ამასთანავე, არის პურსაცხობები, სადაც გაურკვეველია რას აცხობენ, ვინაიდან არ ხდება კონტროლი, ყველას შეუძლია ეტიკეტზე რაც უნდათ ის დააწერონ.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდით პურის გამოცხობა ეკლესია – მონასტრებშიც აქტიურად მიმდინარეობს, მაგრამ ესეც ზოგად სურათს არ ცვლის, ამიტომ ვფიქრობ, იქნებ დადგა დრო, საერთოდ უარი ვთქვათ ნაყიდ პურზე?

საკმარისია დაიწყოთ პურის ცხობა სახლში, ან უდროჟო პურის ყიდვა, რომ მაშინვე შეამჩნევთ როგორ გაგიუმჯობესდებათ ჯანმრთელობა, მოგინესრიგდებათ საჭმლის მომნელებელი სისტემა, დაკარგავთ ზედმეტ კილოგრამებს.

პირადად მე, სწორედ იმის გამო, რომ ძალიან ბევრი რამ გავიგე საფუარიანი პურის მავნებლობის შესახებ, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, გადავწყვიტე მომეძია ბუნებრივი საფუარის დაყენების მეთოდები. სამწუხაროდ, ჩვენი ბებიების რეცეპტები არავის ახსოვდა. დიდი ძებნის მერე ინტერნეტის საშუალებით, არაერთი მეთოდი ვისწავლე, მათ შორის იტალიური, ესპანური, ჩვენი ტრადიციული „დედა ცომის“, ანუ ბუნებრივი საფუარის დაყენების, რაც საშუალებას მაძლევს სახლში გამოვაცხო ჯანსაღი პური, სხვადასხვაგვარი, ნაკლებად რაფინირებული (ცეხვილი, ჭვავი, სიმინდის ნარევით) ფქვილით. პური იმიტომაა შესანიშნავი პროდუქტი, რომ ის ძალზე მარტივი და ადვილად დასამზადებელია ძალიან მინდა, რომ ამის სურვილი ბევრს გაუჩნდეს და ოჯახში პურის ცხობა აუცილებლობად იქცეს, მითუმეტეს, რომ ეს ძალიან სასიამოვნო პროცესია.

### როგორ მოვამზადოთ დედა ცომი

**დედა ცომი (იგივე ხაში)**

ეს საფუარი მზადდება ფერმენტირებული ხილით კერძოდ ვაშლით და ქიშმიშით.

პირველ ჯერზე ვიღებთ 200 გრ წყალს, 40 გრ ქიშმიშს და სადღაც ნახევარ ვაშლს (ნუ თუ ძალიან დიდი ვაშლია ნაკლებიც). ვაშლი უნდა იყოს ტკბილი. მჟავე ვაშლი არ გამოდგება. (შეგიძლიათ 1 ჩ. კ თაფლი დაუმატოთ) ვდგავთ თბილ ადგილას და ვაცდით რომ ადუღდეს. არ უნდა ამჟავდეს. ოთახის ტემპერატურას გააჩნია. ისე თუ სითბოა სამ დღეში უკვე მზადაა. მე ცოტა ხანი გარეთაც მქონდა მზეზე(მეორე დღეს) ცოტა რომ შემთბარიყო. სურათი მესამე დღისაა და ასეთი ბუშტუკები გაიკეთა. აუცილებელია ყოველ დღე ნაყენი შევანჯღრიოთ და თავზე მოვხადოთ, შემდეგ ისევ ვაფარებთ. ყველაფერი დამოკიდებულია ხილის შაქრიანობაზე. ტემპერატურაზე... შეიძლება 5-6 დღეც დაჭირდეს ძალიან რომ დაიგაზოს.

გადავწეროთ ნაყენი და ხილი გადავყაროთ. ეხლა ამ ნაყენით ვიწყებთ საფუარის დაყენებას.

**საფუარის დაყენება (იკვებება 3 ჯერ)**

1 ეტაპი

50 გრ ფერმენტირებული ხილის ნაყენი

50 გრ პურის ფქვილი( თუ ცეხვილს გამოიყენებთ უკეთესია ან ჭვავს)

ვურევთ კარგად და ვაჩერებთ 4 საათით. (თბილ ადგილას)

2 ეტაპი

ვამატებთ 100 გრ წყალს

100 გრ პურის ფქვილს (აქ უკვე ხორბლის თეთრი უმაღლესი ხარისხის ),ვურევთ კარგად და ვაჩერებთ 5-6 საათს.

3 ეტაპი

წინა ეტაპებიდან გაკეთებულ „ფაფიდან“ ვიღებთ 100 გრ. (დანარჩენი იყრება) და ვუმატებთ ისევ 100 გრ ფქვილს და 100 გრ წყალს. ვურევთ და ვდგავთ მთელი ღამე მეორე დღისთვის.

ამ სამი ეტაპიდან მივიღეთ 300 გრ ბუნებრივი საფუარი. ყოველ 500 გრ ფქვილზე იხმარება 200 გრ საფუარი. (ზაფხულში ნაკლებიც დაჭირდება )დანარჩენს ვინახავთ მაცივარში მაქსიმუმ 3 დღით. და ისევ ვიღებთ და ვკვებავთ. თუ ყოველ დღე პურს აცხობთ მაშინ აღარ არის საჭირო მაცივარში შენახვა. ფქვილი აუცილებლად უნდა იყოს უმაღლესი ხარისხის.

მაცივრიდან გამოღებულ საფუარს ოდნავ თბილი წყლით კვებავთ. აცდით კარგად რომ ამოვა შემდეგ გამოიყენებთ. ეს პროცესი ღამე შეგიძლიათ გააკეთოთ. დილით უკვე საფუარი მზად იქნება. ყოველ ჯერზე საფუარს იტოვებთ რომ განაახლოთ. შეგიძლიათ მარტო 50 გრ დაიტოვოთ.

**სვიის საფუარი**

ეკლესია-მონასტრები ცდილობენ, საფუარი სვიისგან დაამზადონ. სასულიერო პირები პურის ცხობისას სწორედ მას იყენებენ. სხვათა შორის, სვიისგან საუკეთესო საფუარი მზადდება, რომლის რეცეპტი უმარტივესია:

1 მუჭა ახალ სვიას უმატებენ 2 ჭიქა თბილ წყალსა და 1/2 ჭიქა პურის ფქვილს. ერთმანეთში ურევენ და თბილ ადგილას დგამენ 1 დღით. ეს ნაზავი დუღილს იწყებს და ფუვდება. დაახლოებით 4-5 კილოგრამ პურის ფქვილს თუ ამ ნაზავში მოვზელთ და რამდენიმე საათს გავაჩერებთ, არაჩვეულებრივი პური გამოცხვება.

თუ სვიის მარცვლებს დანაყავთ და ნამცხვრისთვის განკუთვნილ მაწონში ჩაყრით, მაწონი აფუვდება. ასეთი მაწონი ნამცხვრის ცხობისას საუკეთესოა. სვია ამ შემთხვევაში საჭმელი სოდის მოვალეობას ასრულებს.

### როგორ გამოვაცხოთ პური დედა ცომით ( ხაშით)

გთავაზობთ ერთ უმარტივეს რეცეპტს:

ცომის მოზელიდან გამოცხობამდე ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი – წყლის, ოთახის, ღუმლის ტემპერატურა. ყველაზე მთავარი კი მოთმინება და სიყვარულია, წინააღმდეგ შემთხვევაში, კარგი პური არ გამოგივა. პურის ცხობა დაგეგმვას მოითხოვს, სახელდახელოდ კი არ უნდა მოზილო ცომი, წინადღეს უნდა დაიწყო ზრუნვა და სამზადისი. მხოლოდ კარგი საფუარი არ არის საკმარისი, აუცილებელია კარგი ფქვილიც. უნდა იყოს ნატურალური, დანამატების გარეშე.

№1 წინა ღამით ვაყენებთ ხაშს:

100 გრ ფქვილი

70 გრ წყალი

20 გრ დედა საფუარი ვდგავთ თბილ ადგილას – 27-28 გრადუს ტემპერატურაზე.

დილით ვზელთ ცომს:

500 გრამი ფქვილი

350გრამი წყალი

12 გრამი მარილი

10 გრამი შაქარი

ავურიოთ ყველაფერი კარგად და მოვზილოთ. ნახევარი საათი გავაჩეროთ და შემდეგ ცომი გადავკეცოთ ორჯერ მაინც. როდესაც ამოვა მსუბუქად მოვაგუნდაოთ და გავაჩეროთ 20 წთ. შემდეგ მივცეთ სასურველი ფორმა. ჩავდოთ იმ ფორმის ტილოდაფენილ და ფქვილმოყრილ კალათაში ან შესაბამის ჭურჭელში, რაც გვაქვს. ისე რომ ნაწიბური ზემოდან მოვაქციოთ. ვაცადოთ 1 სთ დაახლოებით ამოსვლა. ვაცხობთ წინასწარ კარგად გახურებულ ღუმელში დაახლოებით 220-230 გრადუსზე, ორთქლის დამატებით. სასურველია თუჯის ქვაბში გამოცხობა, ამ დროს ქვაბს სახურავი უნდა დავაფაროთ. 20 წუთის მერე ვხდით სახურავს და ვუწევთ დაბლა ტემპერატურას. დაახლოებით ნახევარი საათი კიდევ ცხვება დაბალ ტემპერატურაზე, გამოშრობამდე.

წარმატებებს გისურვებთ!

**ია გიგიაშვილი**

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86